მართლმადიდებლურ ეკლესიას აზერბაიჯანელი მრევლიც ეყოლება A2

ცივი ომი ცენტრალურ აზიაში A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 8 იანვარი, 2003 წელი. №6 (218)

ფასი 50 თეთრი

# ნუ გაგვიშვებთ ცარიელი...



საქინფორმი

ალილოობა თბილისის ქუჩებში

*გუშინ დილიდანვე, თითქმის, ყველა მოქმედი ტაძრიდან, წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით, თბილისის ქუჩებში სახალხო მსვლელობა - "ალილო" დაიწყო. მრევლის გარდა, ალილოს მსვლელობას მალე ფეხით მოსიარულეებიც შეუერთდნენ. ეს ძველი ტრადიცია საქართველოში ოთხი წლის წინ აღადგინეს.*

ეთერ მამულაშვილი

"ალათასა მალათასა კვერცხი ჩადეთ კალათასა, არიელი მარიელი ნუ გაგვიშვებთ ცარიელი", - გაუჩერებლად მღეროდნენ გუშინ მორწმუნე ქართველები, მაგრამ წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მრევლის კალათა ტრადიციული ალილოს მსვლელობის ბოლომდე ცარიელი იყო. არადა, ტაძრის, დაახლოებით, ოთხმოცკაციანმა მრევლმა ორთაჭალის და აბანოთუბნის ქუჩების, თითქმის, ყველა ეზოში შეიხედა და "ალილოს" ტრადიციული გალობაც ბოლო ხმაზე იმღერა. მრევლის ერთ-ერთმა წევრმა ხუმრობით ისიც კი შენიშნა, - ეტყობა, ამ ქუჩებზე არავინ ცხოვრობსო. მსვლელობაში განსაკუთრებით ბავშვები აქტიურობდნენ. ათითორმეტი წლის გოგო-ბიჭები მრევლს ხტომა-სირბილით მიუძღოდნენ წინ; შემხვედრებს, გამვლელებს, ეზოს მაცხოვრებლებს, შობას ულოცავდნენ და წინა დღეებში დაბეჭდილ სპეციალურ ბუკლეტებს ჩუქნიდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ეკონომიკა

### საჯარო სამსახურის ბიუროს „შავი სია"

თებერვლის დასაწყისში დასრულდება საჯარო სამსახურიდან სამართალდარღვევისათვის გათავისუფლებულ თანამდებობის პირთა მონაცემთა ბანკის შექმნა. კონტროლის პალატის ამ ინიციატივას საფუძვლად დაედო ქვეყანაში ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიცია - კონტროლის პალატის წარდგინების საფუძველზე სახელმწიფო სამსახურის ერთი თანამდებობიდან გათავისუფლებული პირები უფრო მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან. ამ პრობლემისა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო, კონტროლის პალატა, ანტიკორუფციული და საჯარო სამსახურის ბიუროები ერთობლივად მუშაობენ მონაცემთა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზების შესაქმნელად.

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 13 | |
| ფოთი | 15 | |
| თელავი | 11 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 9 | |
| ახმეტა | 10 | |
| ჭიათურა | 12 | |
| გაგრა | 13 | |
| სამტრედია | 14 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1119 |
| ევრო | 2.1928 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3826 |
| რუბლი | 0.0664 |

## ჩეჩნეთთან საზღვრის გასამაგრებლად უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ

სოფიკო ჩხაიძე

საზღვარზე თოვლის დნობასთან და უღელტეხილების გახსნასთან ერთად, ისევ დღის წესრიგში დადგება ჩეჩნეთთან საზღვრების გამაგრების საკითხი.

2002 წლის მიწურულს საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ საკუთარი უწყების მთავარ მიღწევად პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური ღონისძიების წარმატებით დასრულება გამოაცხადა. ხაბურძანიას ინფორმაციით, ანტიკრიმინალური ღონისძიების ფარგლებში საქართველო დატოვა ასობით ჩრდილოკავკასიელმა თუ არაბმა ბოევიკმა. **"ისინი იმავე გზებით წავიდნენ, რა გზებითაც შემოაღწიეს საქართველოში",** - თქვა მინისტრმა და მათი გადაადგილების კონკრეტული მარშრუტებიც დაასახელა. ამასთან, ბოევიკების საქართველოში შემოსვლის გამო, სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა რუსი მესაზღვრეების მიმართ და განაცხადა, რომ ისინი ქართველ მესაზღვრეებზე გაცილებით მეტნი იყვნენ და შესაბამისად, მეტი კონტროლის საშუალებაც ჰქონდათ. ხაბურძანიას განცხადებითვე, საგაზაფხულოდ, მთებში თოვლის დნობასთან ერთად, არ არის გამორიცხული, ბოევიკებმა უკან დაბრუნება სცადონ.

თავის მხრივ, რუსეთის ოფიციალური წრეები ქართველ სამართალდამცველებს ადანაშაულებენ ბოევიკებისთვის პანკისიდან რუსეთისკენ გზის გახსნაში და გაზაფხულზე მოელიან, რადგან თოვლის დნობასთან ერთად, ისევ განმეორდება რუსეთის ტერიტორიაზე ბოევიკების შეჭრის შემთხვევები. ამის გათვალისწინებით რუსეთის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელმა კონსტანტინე ტოცკიმ ჯერ კიდევ ნოემბერში წამოიწყო ლაპარაკი ფედერალური საზღვრის დაცვის სამსახურში სპეციალური ქვედანაყოფის შექმნის შესახებ,

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს ტერიტორიული დაცვის სისტემა - აბსტრაქცია თუ რეალობა

*საქართველოს ხელისუფლებას, ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტა უკვე წელს მოუხდება. პირველ ყოვლისა, შესამუშავებელია ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა - უშიშროების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამის სამხედრო დოქტრინას. უნდა განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებლობა, რომელსაც ქვეყნის "ისტორიული არჩევანის" გათვალისწინებით, სამხედროს გარდა, სამოქალაქო ხელისუფლებაც გაიზიარებს. ერთობლიობაში ამ ყველაფერს ეწოდება "საქართველოს თავდაცვის სისტემაში სახელმწიფო სამხედრო პროგრამათა პაკეტი", რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს გასული წლის ბოლო სხდომაზე მიიღეს და რომელიც თავისი არსით ნამდვილად რევოლუციურია.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"*

უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს უამრავი "აქილევსის ქუსლი" აქვს: არაკონტროლირებადი ტერიტორიები, სუსტად დაცული საზღვრები, მოშიშვლებული საჰაერო სივრცე, უპატრონოდ მიტოვებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და საინჟინრო ნაგებობები. რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა, სახელმწიფოს განმგებლობაში არსებული საწარმოების ხელმძღვანელებმა, რბილად რომ ვთქვათ, არ იციან, თუ როგორ იმოქმედონ საგანგებო და საომარი ვითარების დროს, ვინ რომელ უბანზე არის პასუხისმგებელი. ზემოხსენებული სახელმწიფო სამხედრო პროგრამათა პაკეტი, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს მისმა ავტორმა, კოსმოსური და საინჟინრო ტექნიკის გენერალურმა კონსტრუქტორმა, პარლამენტის წევრმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა წარუდგინა, სწორედ ამ საშიში ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად.

პროექტის ავტორის თქმით, ამ პაკეტში პირველი მიმართულება სახელმწიფოს ერთიან სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას უჭირავს და ეხება სამხედრო გადაზიდვების, სამხედრო კომუნიკაციების ერთდროულად ამოქმედებას, როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე სამოქალაქო

გაგრძელება A2 გვერდზე

## შობა ბოშებთან ერთად




"რომენი" "სოფლის სახლში".

## ბრძოლა ცესკო-სთვის

თამარ მჭედლიშვილი

*უახლოეს დღეებში საარჩევნო ადმინისტრაციები კვლავ პოლიტელიტის ყურადღების ცენტრში მოექცევა. უკვე მომავალი კვირიდან პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალი წესის შემუშავებას შეეცდებიან. თუმცა ისიც ცხადია, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე (რომელიც ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს) პოლიტიკურ დაჯგუფებებს საერთო ენის გამონახვა აშკარად გაუჭირდებათ.*

პოზიციაც და ოპოზიციაც ერთსულოვნად აღიარებს, რომ დღეს მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციები, როგორც საბოლოოდ დისკრედიტებული ინსტიტუტი, გასაუქმებელია და აუცილებელია სრულიად ახალი ტიპის კომისიების შექმნა. მაგრამ პარტიებს შორის პოზიციათა თანხვედრა ამით მთავრდება. მრავალრიცხოვანი დებატებისა და კონსულტაციების მიუხედავად, მთავარი პრობლემა კვლავ გადაუჭრელია. ჯერჯერობით, პარტიებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ არჩევნების ხელმძღვანელი სტრუქტურის ზოგადი კონტურები მაინც მოეხაზათ.

მომავალი კვირიდან "მოქალაქეთა კავშირი" პარტიებს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკუთარ ვარიანტებს შესთავაზებს. როგორც პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ "24 საათს" განუცხადა, **"ფრაქციას ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების სამი ვარიანტი აქვს შემუშავებული".**

პირველი მოდელის თანახმად, საარჩევნო კომისიები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებით კომპლექტდება. მეორე ვარიანტის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისია, პროფესიული ნიშნით შეირჩევა. მისი შემადგენლობა 9 წევრით განისაზღვრება. სამ-სამი წევრის დანიშვნის უფლება ენიჭებათ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 სტილი A6 სპორტი A7 ანკეტა A8 სხვადასხვა

# ზესტაფონის ყოფილი გამგებელი გატაცებას უარყოფს

ბექა სისაური
ქუთაისიდან

რამდენიმე დღის წინ იმერეთში კიდევ ერთი ბიზნესმენის გატაცების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

ზესტაფონის ყოფილი გამგებელი ამირან კაკაურიძე ამჟამად ზესტაფონის ცენტრალური ბაზრის თანამფლობელი გახლავთ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კაკაურიძე შვიდმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა და ორი დღის მანძილზე ტყვეობაში ამყოფებდნენ. ორი დღის შემდეგ გამოჩენილი კაკაურიძე კი ამტკიცებს, რომ იგი არავის გაუტაცია და ორი დღე თერჯოლაში იყო საქეიფოდ წასული. მიუხედავად ამისა, ხმების თანახმად, კაკაურიძე გატაცებული იყო. მეტიც, გამტაცებლები გამოსასყიდის მოთხოვნითაც კი დაკავშირებიან კაკაურიძის სიძეს რატი მაჭავარიანს და სიმამრის გამოსასყიდად 50 000 დოლარი მოუთხოვიათ. ამბობენ, ბიზნესმენის ოჯახის წევრები იმიტომაც ერიდებოდნენ გატაცების ფაქტის გახმაურებას, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი ტელეფონით საუბრისას, ინფორმაციის გახმაურების შემთხვევაში, მძევლის მოჭრილი თავის გამოგზავნით დაიმუქრა.

"24 საათი" გატაცების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსთან ზაზა ძნელაძესთან შეეცადა.

**"გატაცების შესახებ ჩვენც შევიტყვეთ, კაკაურიძის სახლში გავედით და ეს პიროვნება ადგილზე დავხვდა. ახსნა-განმარტებები ჩამოვართვით ოჯახის წევრებს. თუ მათ ნაამბობს ვირწმუნებთ, გატაცების თაობაზე ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება"**, - განაცხადა მან ჩვენთან საუბრისას. თუმცა, ვერც ძნელაძე გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ გამტაცებლებმა და კაკაურიძის ოჯახის წევრებმა მოლაპარაკება პოლიციის ჩარევამდე მოასწრეს და კაკაურიძეც მხოლოდ ამის შედეგად დაბრუნდა შინ.

## მოკლედ

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ვალერი ლოშჩინინი 9 იანვარს სოხუმს ეწვევა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე კონსულტაციებს გამართავს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ლოშჩინინის შეხვედრა საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელთან, გაეროს მისიის ხელმძღვანელთან ჰაიდი ტალიავინისთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისათვის "გადაადგილების ერთადერთ საშუალებად" მიიჩნევს აფხაზეთის ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი ბატალ კობახია აფხაზეთში მცხოვრებთა მიერ რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების მიღებას.

აფხაზი მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესს კობახია სოხუმის ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის ნაწილად არ აღიქვამს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ "ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავად გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სეპარატისტული აფხაზეთის სახალხო კრების (ე.წ. პარლამენტის) თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ "მედია-ნიუსთან" ინტერვიუში არაკონსტრუქციული უწოდა ენგურის ხიდზე მიმდინარე დევნილთა საპროტესტო აქციას. "აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს ეკონომიკურ აღმავლობასთან, ამის გარეშე კი ჩვენ დევნილებს ვერ დავაბრუნებთ. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რომ ამ ფაქტს აპროტესტებენ დევნილები, ხალხი, რომელსაც აფხაზეთში დაბრუნება სურს. მათ ხომ ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეთ, რომ ღარიბი და მათხოვარი აფხაზეთი მათ ვერ დაიბრუნებს" - აცხადებს აშუბა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაცია საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მთავრობამ იანვრის ბოლომდე უნდა გადასცეს. ამასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრა გამართეს და რუსეთის მხარეს შეახსენეს 12 დეკემბერს თბილისში გამართულ ექსპერტების შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს მთავრობის სხდომების გრაფიკი შეიცვლება და იგი ყოველი კვირის ოთხშაბათის ნაცვლად, ორ კვირაში ერთხელ გაიმართება. ამ ცვლილების მიზეზად პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე პარლამენტში დარჩენილი განსახილველი კანონპროექტების სიმრავლეს ასახელებს. **მედია-ნიუსი**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უწყვეტია. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისთვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელმძღვანელო ...

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

ხელმოწერა ...

## საზოგადოება

# მართლმადიდებლურ ეკლესიას აზერბაიჯანელი მრევლიც ემატება

### გაქრისტიანებულმა აზერბაიჯანელმა წყვილმა ჯვარი დაიწერა

ნანა ქადაგიშვილი

*შობა დღეს ბოლნისის რაიონის დაბა თამარისის ქრისტიანულ მოსახლეობას 4 აზერბაიჯანელი მართლმადიდებელი შეემატა. მათ ნათლობას თამარისის ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიაში წინ საშობაო წირვა და ბავშვების დასაჩუქრება უძღოდა. საშობაო ცერემონიალი კი გაქრისტიანებული აზერბაიჯანელი წყვილის ჯვრისწერით დასრულდა.*


ჯვრისწერა თამარისის ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიაში.

სანამ ეკლესიაში შეკრებილი უფროსები ნეფე-პატარძლის ყურებით ერთობოდნენ, პატარებმა ნაჩუქარი მანდარინები იქვე მიირთვეს და ჯვრისწერის ცერემონიალზე სანთლისა და მანდარინის სურნელი ტრიალებდა.

რაც თამარისის ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიას მამა კვირიკე უძღვება, მართლმადიდებლურ ეკლესიას აზერბაიჯანელი მრევლი ემატება. გუშინ მონათლული დილბა ბაბაიევასთვის თამარისში გათხოვების შემდეგ თვითონ მშობლებს ურჩევიათ, ქართველებში ცხოვრობ და ცუდი არ იქნება, თუ ქრისტიანად მოინათლებიო. აზერბაიჯანელები არც ქართულ სკოლაში სწავლაზე ამბობენ უარს. თამარისის საშუალო სკოლაში წლევანდელ სასწავლო წელს პირველი კლასი, თითქმის, სულ აზერბაიჯანელი ბავშვებით შევსებულა. თუმცა, ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა – თამარისში სულ 40 ქართული ოჯახი ცხოვრობს.

"ქართველები მხოლოდ თამარისშიღა შემოვრჩით. დანარჩენ სოფლებში სულ აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. მიწებიც ჩვენზე ბევრად მეტი აქვთ. გამგებელიც აზერბაიჯანელი გვყავს. არჩევნებზე ქართველებს რაც არ უნდა გვეცადა, აზერბაიჯანელებზე მეტ ხმას როგორ მოვაგროვებდით. ისე, ურთიერთობა ნორმალური გვაქვს, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტი არ გვახსოვს, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ქართველები ნელ-ნელა ვმცირდებით", - გვითხრეს თამარისელმა ქართველებმა.

თამარისის ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას საერთო საწუხარიც ბევრი აქვს - სინათლეს მხოლოდ დღესასწაულის დღეებში თუ აღირსებენ; წყალს კი ვირებით ეზიდებიან მეფრინველეობის ქარხნიდან. "ადრე წყალს მარნეულის სარწყავი მაგისტრალიდან გვაწვდიდნენ, მაგრამ თვეში 2 ლარს გვახდევინებდნენ და მოსახლეობას ამისი საშუალებაც არ ჰქონდა. თანაც, ეს წყალი მხოლოდ სარწყავად ვარგოდა, ჩვენ კი სასმელადაც ვიყენებდით. რაც მეფრინველეობის ქარხანა თურქებმა იყიდეს და აღდგენითი სამუშაოები დაიწყეს, წყალი იქიდან მოგვაქვს. ქარხნის მეპატრონეს შევეცოდეთ და წყლის ბაკი დაგვიდგა", - შემოგვჩივლეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

ბოლნისის რაიონს, საქართველოს ბევრ სხვა რაიონთან შედარებით, ერთი უპირატესობა მაინც აღმოაჩნდა - ხელფასები და პენსიები, თითქმის, არასდროს იგვიანებსო, - ირწმუნებიან თამარისის საშუალო სკოლის პედაგოგები.

# ნუ გაგვიშვებთ ცარიელი...

პირველი გვერდიდან

ცხრა წლის გიორგი და თერთმეტი წლის ანი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მრევლის ყველაზე პატარა წევრები არიან. ისინი უკვე ორი წელია, წირვა-ლოცვებს ბოლომდე ესწრებიან და რამდენიმე ლოცვა ზეპირადაც იციან. ანი, გიორგი და მათი თანატოლები ალილოს მსვლელობის დროს გუშინ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბუკლეტების დარიგებაში. ექვსი წლის ლუკას ათამდე ასეთი ბუკლეტი ორივე ხელით ჰქონდა ჩაბღუჯული - ღმერთის ლოცვებიაო, - ამიხსნა. მას ძალიან მოსწონდა ამ ბუკლეტის ჩუქების პროცესი და ამიტომაც უფროსებისთვის დასწრებას ცდილობდა.

გორგასლის, გრიშაშვილის, ხარფუხის, ბოტანიკურის, აბანოს, სამღებროს, ახმატოვის, ქუჩები მაცხოვრებელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიან - პირიქით. მაგრამ გუშინ, თითქმის, ყველა ეზო, ისევე, როგორც ჩვენი კალათა, ცარიელი იყო. მგალობლების "ალილომაც" კი ვერ გამოახედა ბევრი მათგანი. სამაგიეროდ, აბანოთუბნის ძველი დუქნის ულვაშ-ღიპიანი მეპატრონეები ჩვენს დანახვაზე იჭიმებოდნენ, თავს გვიხრიდნენ და პირჯვარს იწერდნენ.

საპატრიარქოში გვითხრეს, - მრევლის მიერ შეგროვილ ტკბილეულობას და საჩუქრებს მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და გაჭირვებულ თბილისელებს დავურიგებთო. ძნელი სათქმელია, რომელ ბავშვს გაახარებს წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მრევლის გუშინდელი ძღვენი, რომელიც ზუსტად ექვსი ვაშლისგან, სამიოდე კარალიოკისგან და ერთი მუჭა კამფეტისგან შედგებოდა. მრევლმა ეს საჩუქარი დღის ბოლოს შავებში ჩაცმული ოთხმოციოდე წლის ბებოსგან მიიღო.

სხვა ტაძრების მრევლის "ალილოს" მსვლელობა ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა. მაგალითად, პარლამენტის ეზოში გავლისას "ალილოს" მონაწილე ბავშვებს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ საჩუქრები გადასცა, ხოლო თბილისის მერი, ვანო ზოდელავა და საკრებულოს თავმჯდომარე, მიხეილ სააკაშვილი მათ რუსთაველის გამზირზე გაჰყვნენ და ტკბილეულითაც დაასაჩუქრეს.

ყველაფრის მიუხედავად, თბილისელები ხალისით შეხვდნენ ტრადიციის აღდგენას და შეძლებისდაგვარად შეავსეს "მეალილეების" კალათები.

ძირითადად ალილოზე კი, რომელიც სიონის ტაძრიდან დაიწყეს და თბილისის ცენტრალური უბნები მოიცვა, მართლაც უამრავი ძღვენი შეგროვდა.

## პოლიტიკა

# საქართველოს ტერიტორიული დაცვის სისტემა - აბსტრაქცია თუ რეალობა

პირველი გვერდიდან

სისტემებში. ***"კერძოდ, შეიარაღებულ ძალებში უკვე უნდა არსებობდეს მილსადენების დაცვის ქვედანაყოფი, ავტოგზების ქვედანაყოფი, სარკინგზო ქვედანაყოფი, წყლის მომარაგების ქვედანაყოფი და, ანალოგიურად, ეს სეგმენტი უნდა არსებობდეს სამოქალაქო სისტემებშიც, რათა განსაკუთრებულ პირობებში ერთობლივად ამოქმედდნენ,"*** - აცხადებს ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომელმაც ქვეყნის ერთიანი საინჟინრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ 640 გვერდიანი სახელმძღვანელო შეიმუშავა.

გარდა ამისა, ახალმა რეალობამ საქართველოს ხელისუფლება ახალი ამოცანის - საქართველოს ტერიტორიული დაცვის სისტემის შექმნისა და სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრის წინაშე დააყენა. ედუარდ შევარდნაძემ ამ პროგრამების შედგენაც ელგუჯა მეძმარიაშვილსა და მისი თაოსნობით შექმნილ სამხედრო-საინჟინრო აკადემიას დაავალა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას, ჯერჯერობით, არც თავისი სასწავლო-მატერიალური ბაზა აქვს და არც ცალკე დაფინანსება, გენერალური კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი ტერიტორიული დაცვის სისტემის პირველი მოსამზადებელი ნაწილის განხორციელებას წელიწადნახევრის შემდეგ ვარაუდობს.

თავდაპირველად ყველაფერი ელემენტარულით - კონკრეტული უწყებების მოხელეთა გადამზადებით, ფუნქციონალური მოვალეობების შესწავლით, სტრატეგიული ობიექტების ნუსხის დადგენითა და შესაბამისი სამეთაურო-საშტაბო სწავლებების ორგანიზებით დაიწყება. რაც შეეხება ფინანსებისა და შესაბამისი რესურსების მოზიდვას, ამის გარანტიას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი სახელმწიფო კომისია იძლევა.

თუმცა, ელგუჯა მეძმარიაშვილი არ მალავს, რომ თავდაცვითი სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა დაყვანა სამოქალაქო სტრუქტურების წარმომადგენლებამდე მრავალ სუბიექტურ თუ ობიექტურ წინააღმდეგობას წააწყდება. ***"გაჭირდება არა მარტო გამგებლებამდე, არამედ მინისტრებამდე და მათ მოადგილეებამდე, რომელთა პროფესიული პასუხისმგებლობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ელემენტარული ცოდნა საკუთარი მოვალეობისა სათანადო დონეზე არ დგას. ჩემს მიერ, როგორც გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის და კომისიის კოორდინატორის მიერ, ნებისმიერი მათი არაეფექტური ქმედების შემთხვევაში, საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე დაისმება",*** - აცხადებს მეძმარიაშვილი.

თუმცა, როდესაც 20 პროცენტითაც ვერ ხერხდება არმიის რიგების დაკომპლექტება, როდესაც მაღალი სამოქალაქო თუ სამხედრო მოხელეთა შვილები სამხედრო ვალდებულების კონსტიტუციურ მოვალეობას ყველა გზებით გაურბიან, ლაპარაკი საქართველოს ტერიტორიული დაცვის სისტემისა და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის შესახებ აბსტრაქციას ემსგავსება.

# ბრძოლა ცესკო-სთვის

პირველი გვერდიდან

მესამე ვარიანტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია შერეული პრინციპით დაკომპლექტდება. მეორე ვარიანტს დაემატება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი სამი პოლიტიკური სუბიექტის – მოქკავშირის, "აღორძინებისა" და "მრეწველების" თითო-თითო წარმომადგენელი.

ვიტალი ხაზარაძის თქმით, საბოლოოდ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუ რომელი ვარიანტი მიიღებს კანონპროექტის სახეს. მისივე განცხადებით, **"ამას პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართული კონსულტაციები გადაწყვეტს"**. თუმცა ფრაქციის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომაზე მათ მზა კანონპროექტი უკვე ექნებათ.

სხვათა შორის, ვიტალი ხაზარაძის მიერ ჩამოთვლილ ვარიანტებს საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ "გაერთიანებული დემოკრატები". პარტიის ერთ-ერთი ლიდერის რომან კუსიანის თქმით, მოქალაქეთა კავშირს ცესკო-ს დაკომპლექტების ეს სამი ვარიანტი მხოლოდ საზოგადოების თვალის ასახვევად და **"დემოკრატის მანტიის მოსარგებად"** სჭირდება. რეალურად კი სახელისუფლებო პარტია მეოთხე (ჯერჯერობით, გაუხმაურებელ) ვარიანტზე მუშაობს.

**"დაკომპლექტების წინა სამი პრინციპის დეკლარირება მათ მედიის წინაშე თავის მოსაწონებლად სჭირდებათ. რეალურად კი მოქკავშირი იმისთვის იბრძვის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგნაირად დაკომპლექტდეს: წინა საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი პარტიები პლუს პრეზიდენტის, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების თითო-თითო წარმომადგენელი. ამ მოდელის დამტკიცების შემთხვევაში, ცესკო-ში, "მოქკავშირის", "აღორძინებისა" და "მრეწველების" გარდა, "სახალხო", "ლეიბორისტული" და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები შევა. ამით "მოქკავშირი" ცეტრალური საარჩევნო კომისიის დემოკრტიულობის ილუზიას შექმნის, რეალურად კი კომისიაში ძალთა გადანაწილება ისეთი იქნება, როგორც ეს ხელისუფლებას აწყობს"**, - განუცხადა "24 საათს" რომან კუსიანმა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# იყავით ხაზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელში ლაი-ლაი ბარათებით სარგებლობა შესაძლებელია 1997 წლიდან?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.

გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




## ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

## სამართალი

# ჩეჩნეთთან საზღვრის გასამაგრებლად უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ

პირველი გვერდიდან

რომლის პირდაპირი დანიშნულება რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ბოევიკების გარღვევებისგან დაცვა იქნება. ტოცკის იდეის რეალიზება უკვე დაიწყო. მინერალური წყლების რაიონში უკვე მოქმედებს ერთგვარი ექსპერიმენტული რაზმი.

**"სწორედ ამ რაზმის გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნება ე.წ. დამრტყმელი ძალა – საზღვრის ყველაზე რთული მონაკვეთის დასაცავად",** - განაცხადა 6 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერალური საზღვრის დაცვის სამსახურის ჩრდილოკავკასიის რეგიონული სამმართველოს უფროსმა ვალერი პუტოვმა. მისი თქმით, ახალი სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი რამდენიმე რაზმისგან დაკომპლექტდება, მათი დისლოკაციის ადგილი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იქნება და ამ რაზმების მებრძოლებმა მედესანტეების ფუნქციებიც უნდა შეასრულონ. ქვედანაყოფის მიზნებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მებრძოლები შეიარაღებულნი იქნებიან უახლესი ტიპის იარაღით, მათ შორის ისეთით, რომლითაც ჯავშანტექნიკის განადგურებაც შეიძლება. ექსპერტები გაკვირვებას ვერ მალავენ; რა საჭიროა მათი ასეთი აღჭურვა მაშინ, როცა მთის პირობებში ბოევიკებს იარაღი, ძირითადად, შინაური ცხოველების დახმარებით გადააქვთ. საზღვრის დაცვის სამსახურის ჩრდილოკავკასიის რეგიონული სამმართველოს უფროსის, პრესმდივნის სერგეი ლევანცოვის თქმით, **"ახალი სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ამოცანებში შევა საქართველოსთან საზღვარზე მყოფი სასაზღვრო ძალების გაძლიერება. ეს იქნება ერთგვარი სწრაფი რეაგირების, კარგად შეიარაღებული ძალა, რომელიც ჩაჯდება კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში".**

რითი პასუხობს საქართველო რუსეთის ასეთ მზადებას? არც უშიშროების სამინისტროში და არც საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ბოევიკების საქართველოში მოსალოდნელი შემოჭრის თავიდან აცილებისკენ მიმართულ კონკრეტულ ღონისძიებებზე არ საუბრობენ. მეტიც, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსის კორნელი სალიას თქმით, ამ ეტაპზე რაიმე ღონისძიებები საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გასაძლიერებლად საერთოდაც არ იგეგმება. რაც შეეხება უშიშროების სამინისტროს, მინისტრის მოადგილის ირაკლი ალასანიას თქმით, **"უშიშროების სამინისტრო პრევენტულ ღონისძიებებს ახორციელებს პანკისის ხეობაში, რათა გაზაფხულზე, ჩეჩნეთში სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, თავიდან ავიცილოთ ბოევიკების უკან დაბრუნება. ამჟამად იქ სტაბილური სიტუაციაა და მიმდინარეობს ხეობის პატრულირება".**

**"საქართველოს კარი ღიაა ჩეჩნეთიდან დევნილებისთვის, შეიარაღებული ხალხის ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლას კი არ დავუშვებთ და ამის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი კეთდება",** - აცხადებს უშიშროების მინისტრის პრესმდივანი ნიკა ლალიაშვილი.

უშიშროებაში პრევენტული ღონისძიებების რაობას, ცხადია, არ აკონკრეტებენ, შესაბამისად, არც იმაზე აკეთებენ კომენტარს, რამდენად უტოლდება ეს ღონისძიებები თავისი მასშტაბებით რუსეთის მხრიდან მოსამზადებელ სამუშაოებს. არადა, ფაქტია, რომ თავს კვლავაც იჩენს ძველი საშიშროება, როცა ჩეჩენმა ბოევიკებმა რუსეთის მხრიდან კარგად გამაგრებული არღუნის ხეობა უპრობლემოდ გადმოკვეთეს და პანკისის ხეობაში გამაგრდნენ.

## შარშან, რუსეთში დაიკარგა 88 ათასი ადამიანი

ბრიტანული გაზეთი „ობზერვერი" წერს, რომ მოსკოვის საახალწლო-სადღესასწაულო სტატისტიკას სამწუხარო და კრიმინალური საშინელებებიც ახლავს. მოსკოვის სხვადასხვა რაიონში ამ დღეებში საახალწლო ნაგავსაყრელებზე პლასტიკურ პაკეტებში ხშირად ნახულობენ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებს — მოკვეთილ თავს, ხელს, ფეხს.

„ობზერვერის" მიმომხილველის ნიკ პეიტონის აზრით, ასეთი „ნაპოვნი ნივთები" სულაც არ წარმოადგენს საშინელებას იმ ქვეყანაში, სადაც შარშანდელი ოფიციალური მონაცემებით, დაკარგულად ითვლება 88 ათასი ადამიანი. 2002 წლის პირველ ექვს თვეს მილიციამ 57 ათასი გვამიდან მხოლოდ 15 ათასის ამოცნობა შეძლო.

სტატისტიკა გამაოგნებელია: 145-მილიონიან ქვეყანაში შარშან, ივლისისთვის არსებობდა მონაცემები 41.292 ამოუცნობ გვამზე, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში დაგროვდა.

2002 წლის პირველ ექვს თვეს დაფიქსირდა ადამიანთა დაკარგვის 1.847შემთხვევა, რომლებიც შემდგომ ვერ მოძებნეს.

**"რუსეთში ეკონომიკური და სოციალური არეულობის ფონზე ადამიანთა დაკარგვის შემთხვევები ხშირად არც ფიქსირდება; მილიციის კორუმპირებულობის გამო კი, ზოგი შემთხვევა საერთოდ არ გამოძიებულა",** - წერს გაზეთი.

*"მედია-ნიუსი"*

## მოკლედ

**სოხუმი.** 26 დეკემბერს, გალის რაიონში, ე.წ. პროფილაქტიკური ღონისძიებების ფარგლებში დაკავებულ ქართველ მოქალაქეებს აფხაზმა სამართალდამცველებმა ბრალდებები წაუყენეს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს.

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახურის უფროსის ზურაბ აგუმავას განცხადებით, გალის იზოლატორში მყოფ ბესიკ ბუკიას, მურთაზ მესხიას, შალვა შერვაშიძეს და რომან ჩაკაბერიას აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ედებათ ბრალი და მათ საქმეს გალის აფხაზური ადმინისტრაციის პროკურატურა იძიებს. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გასული დღე-ღამის განმავლობაში 3 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და ხუთი მძიმედ დაშავდა. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** შარშან რუსმა მშვიდობისმყოფელებმა გალის რაიონში გაძარცვეს და გაანადგურეს 10 საშუალო სკოლის შენობა-ნაგებობა. კერძოდ, გალის №1 და №2, რეფის, აჩიგვარის №1 და №2, რეფი-შეშელეთის, თაგილონის, ზემო ბარღების, სიდისა და ნაბაკევის საშუალო სკოლებიდან გაიტაცეს სურათები, წიგნები, ტექნიკური საშუალებები, ხოლო ლაბორატორიები და სასკოლო ინვენტარი – მერხები, დაფები, სკამები და იატაკი დაწვეს.

შედეგად ზემოაღნიშნული სკოლები წლეულს, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს. ცნობისთვის, გალის რაიონის სკოლები ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითა და ძალისხმევით აღადგინეს. **"მედია-ნიუსი".**

## უცხოეთი

# ჩრდილოეთ კორეას გასდის და ტირის

*საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეა საკუთარი ბირთვული პროგრამების შეწყვეტას არ აპირებს, რადგან აშკარად მომგებიან პოზიციაში იმყოფება.*

რევაზ ბახტაძე

6 იანვარს, ვენაში გამართულ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საგანგებო სხდომაზე, ჩრდილოეთ კორეას "უკანასკნელი შანსი" მისცეს, რათა ფხენიანმა ბირთვული იარაღის შექმნაზე ხელი აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილოეთ კორეის საქმეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე განიხილავენ, რათა "ურჩ" სახელმწიფოს ეკონომიკური სანქციები დაუწესონ.

ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობა სააგენტოს საბჭოს მიერ გაკეთებულ ულტიმატუმს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესება ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება.

რამდენიმე დღის წინ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკა ჩრდილოეთ კორეაზე იერიშის მიტანას არ აპირებს.

შექმნილ ვითარებაში დიპლომატიურ ასპარეზზე განსაკუთრებით აქტიურობს სამხრეთ კორეა, რადგან ნახევარკუნძულზე არსებული კრიზისი პირველ რიგში სწორედ მის უსაფრთხოებასა და ეკონომიკას ვნებს. ვენის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, კვირას, მოსკოვში გაიმართა სამხრეთ კორეისა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ბირთვული კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების კონკრეტული წინადადებები განიხილეს.

სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადილე ალექსანდრე ლოსიუკოვი უძღვებოდა, ხოლო სამხრეთ კორეიდან - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კიმ კენ ხანი.



*კიმ ჩენ ირს წარმატებაში ეჭვი არ ეპარება.*

სამხრეთ კორეას სურს, ვაშინგტონში დაგეგმილ შეხვედრამდე სეულის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა მოსკოვთან შეაჯეროს. სამხრეთ კორეის გეგმის თანახმად, შეერთებულმა შტატებმა ჩრდილოეთ კორეას უსაფრთხოების გარანტია უნდა მისცეს და ნავთობის მიწოდება აღუდგინოს. სანაცვლოდ ფხენიანმა ბირთვული პროგრამები უნდა შეწყვიტოს. შეთანხმება რუსეთისა და ჩინეთისგან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების გაცემასაც ითვალისწინებს.

ბუშის ადმინისტრაცია დღემდე დაჟინებით იმეორებს, რომ ის ფხენიანთან მანამ არ გამართავს მოლაპარაკებებს, სანამ ჩრდილოეთ კორეა თავად არ შეწყვეტს ბირთვულ იარაღზე მუშაობას და ქვეყნიდან გაძევებულ გაერო-ს ინსპექტორებს უკან არ დააბრუნებს.

ოქტომბერში ფხენიანმა აღიარა ბირთვული შეიარაღების პროგრამების არსებობა, რასაც ამერიკამ ნავთობის მიწოდების შეწყვეტით უპასუხა. მას შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ძალზე დაიძაბა.

ექსპერტების აზრით, სამხრეთ კორეა შეერთებულ შტატებზე დიპლომატიურ ზეწოლას ახორციელებს, რათა ბუშის ადმინისტრაცია კომპრომისულ ვარიანტზე დაითანხმოს. ბოლო დღეების განმავლობაში სახელმწიფო დეპარტამენტის შერბილებული ტონი, რომ კრიზისი აუცილებლად დიპლომატიური გზით უნდა მოგვარდეს, პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების შანსებს ზრდის.

"ახლა მკვეთრი განცხადებებისა და გადაწყვეტილებების მიღების დრო არ არის. ჩვენ შევეცდებით ჩრდილოეთ კორეის დარწმუნებას, მაგრამ აშშ-მაც მეტი მოქნილობა უნდა გამოიჩინოს", - აღნიშნა მოლაპარაკებების შემდეგ ლოსიუკინმა.

რუსეთში შეერთებული შტატების ელჩი ალექსანდრე ვერშბოუ კრიზისის დარეგულირებაში რუსეთის მონაწილეობას მიესალმა. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთს ფხენიანზე დიდი გავლენა აქვს და ვიმედოვნებთ, რომ ერთად შევძლებთ ჩრდილოეთ კორეის დარწმუნებას, აღებული ვალდებულებები შეასრულოს და ბირთვული იარაღის შექმნაზე ხელი აიღოს" - განაცხადა ელჩმა "ინტერფაქსის" ჟურნალისტთან საუბრისას.

სამხრეთ კორეის გეგმა ფხენიანისათვის სავსებით მისაღებია, რადგან, რეალურად, კიმ ჩენ ირის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. "სეულის წინადადება არსებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალია", - ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჩრდილოეთ კორეამ დაძაბულობა სპეციალურად შექმნა, რათა დახმარების მოცულობა გაზრდილიყო და უსაფრთხოების ახალი, დამატებითი გარანტიები მიეღო. უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები ფხენიანისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პრეზიდენტმა ბუშმა ჩრდილოეთ კორეას, ერაყთან და ირანთან ერთად, "ბოროტების ღერძის" სახელმწიფო უწოდა. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას კი ნამდვილად არ სურს ერაყის მდგომარეობაში აღმოჩენა.

ცნობილი ამერიკული ანალიტიკური ცენტრის "სტრატფორის" ექსპერტის ჯორჯ ფრიდმანის აზრით, ფხენიანმა კარგად გათვალა, რომ ერაყის პრობლემის მოგვარებამდე ვერც ამერიკა და ვერც საერთაშორისო სააგენტო მასზე ჯეროვან ზეწოლას ვერ განახორციელებენ. "ჩრდილოეთ კორეას კარგად ესმის, რომ ვაშინგტონი ორ ფრონტზე ბრძოლის "ფუფუნებას" საკუთარ თავს ვერ მისცემს", - აღნიშნა ფრიდმანმა.

ახლა ვაშინგტონი იმყოფება რთულ ვითარებაში, რომელსაც ერთდროულად ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებაც სურს და საკუთარი პრესტიჟის შელახვაც არ უნდა.

# ცივი ომი ცენტრალურ აზიაში

*ახალი წლის წინა დღეებში თურქმენეთმა და უზბეკეთმა ინტენსიურად დაიწყეს სასაზღვრო პოსტების გამაგრება და მოსაზღვრე რაიონებში დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფები გადაისროლეს.*

შოთა უტიაშვილი

ორ ქვეყანას შორის დაძაბულობამ პიკს მას შემდეგ მიაღწია, რაც თურქმენეთის პრეზიდენტზე განხორციელებულ თავდასხმაში თანამონაწილეობის ბრალდებით, ქვეყნიდან უზბეკეთის ელჩი გააძევეს და საელჩო გაჩხრიკეს. ამის შემდეგ თურქმენეთის ტელევიზიით აჩვენეს თავდასხმის ორგანიზებაში მთავარი ეჭვმიტანილი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის შიხმურადოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ტერაქტის ჩაშლის შემდეგ ორი კვირა იმალებოდა უზბეკეთის ელჩის რეზიდენციაში. იმავე გამოსვლაში შიხმურადოვმა განაცხადა, რომ იგი ნარკომანია, ჰეროინის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია და პრეზიდენტზე თავდასხმაც მან და მისმა მომხრეებმა, რომლებიც წარმოადგენენ მაფიოზურ დაჯგუფებას და არა ოპოზიციას, ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ მყოფებმა დაგეგმეს. შეთქმულმა ასევე განაცხადა, რომ მას მხოლოდ ახლა აეხილა თვალები და მიხვდა, რომ ნიაზოვი თურქმენეთისათვის ღვთით ბოძებული საჩუქარია.

თუმცა, დაჭერამდე გაკეთებულ განცხადებაში შიხმურადოვმა განაცხადა, რომ დაპატიმრების შემთხვევაში თავის ნათქვამზე პასუხს არ აგებდა. მას ადრე ვიცე-პრემიერის პოსტი ეკავა და, როგორც ჩანს, კარგად იცოდა რა მოელოდა, თუ თურქმენეთის სპეცსამსახურების ხელში მოხვდებოდა.

შიხმურადოვსა და მის თანამებრძოლებს სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, მეორე დღეს შეკრებილმა პარლამენტმა შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსი, შემოიღო სამუდამო პატიმრობა და დაპატიმრებულებსაც მაშინვე შეუცვალა სასჯელის ზომა.

თურქმენეთის პრეზიდენტზე თავდასხმა 25 ნოემბერს მოხდა; თურქმენეთის ხელისუფლებამ მაშინვე განაცხადა, რომ იგი რუსეთიდან იყო ორგანიზებული და დაფინანსებული იქ თავშეფარებული თურქმენული ოპოზიციის მიერ. რუსეთმა თავიდან ყველაფერი უარყო, მაგრამ მოგვიანებით აშხაბადში ჩავიდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი რუშაილო, რომელმაც განაცხადა, რომ თურქმენ კოლეგებს გამოძიებაში ყველანაირ მხარდაჭერას აღმოუჩენდა.

თავდასხმის რუსულ კვალს რუსეთ-თურქმენეთის ურთიერთობების დაძაბვა არ მოჰყოლია, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით უზბეკეთთან ურთიერთობაზე, რომელიც იქამდეც საკმაოდ მწვავე იყო. რამდენიმე ხნის წინ აშხაბადმა ტაშკენტს ნება არ მისცა, საქონლისა და ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის თურქმენეთის პორტები გამოეყენებინა. აღნიშნავენ იმასაც, რომ კარიმოვსა და ნიაზოვს ძალზე ცუდი პირადი ურთიერთობები აქვთ.

ექსპერტების აზრით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაზის ექსპორტის ირგვლივ კონკურენციის გამო გამწვავდა. თავის დროზე თურქმენეთმა ვერ მოილაპარაკა "გაზპრომთან" გაზის ტრანზიტის პირობების შესახებ და ხელშეკრულება "იტერასთან "გააფორმა. უზბეკეთმა კი პირიქით – მჭიდრო კავშირები დაამყარა "გაზპრომთან" და გაზის საბადოების ერთობლივ ათვისებაზეც დადო შეთანხმება. 2003 წლიდან "გაზპრომმა" "იტერას" თავისი მილსადენებით თურქმენული გაზის გადატანა აუკრძალა, რამაც აშხაბადი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

უზბეკეთმა თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდება უარყო; თუმცა, დეკემბრის შუა რიცხვებში ტაშკენტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა კარიმოვმა რეგიონში ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა იწინასწარმეტყველა. მისი აზრით, გასულ დეკემბერს, ცენტრალურ აზიაში, ახალი რუსული სამხედრო ბაზის გამოჩენა აუცილებლად გამოიწვევს დესტაბილიზაციის ზრდას. ბაზის დაარსების ოფიციალურ მიზანს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას კარიმოვი არასერიოზულად მიიჩნევს. "რუსებს თუ ტერორიზმთან ბრძოლა უნდოდათ, მაშინ სად იყვნენ, როდესაც "უზბეკეთის ისლამური მოძრაობა" რეალურ საფრთხეს ქმნიდაო", - აცხადებს იგი. კარიმოვის აზრით, მოსკოვის ახალი გააქტიურება რეგიონს კარგს არაფერს მოუტანს. "ჩემი კოლეგა პრეზიდენტები მოსკოვისადმი ერთგულების დემონსტრირებაში ერთმანეთს ეცილებიან" – განაცხადა მან. ამ დროს თავად კარიმოვი (თუ ზოგიერთ ექსპერტს დავუჯერებთ) დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებასა და რეგიონში ჰეგემონად ქცევას ცდილობს.

თურქმენეთ-უზბეკეთის უთანხმოების მომავლის პროგნოზირებისას მიმომხილველები ამბობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მოძებნა, ჯერჯერობით, შეუძლებელია, მაგრამ ძალიან დაბალია შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების ალბათობაც. თურქმენეთს ტრანსავღანური გაზსადენის მშენებლობის იმედი აქვს, რაშიც უზბეკეთის თანხმობა აუცილებელია (ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც მილსადენმა უნდა გაიაროს, უზბეკებითაა დასახლებული). უზბეკებმაც კარგად იციან, რომ აშხაბადთან კონფლიქტი მთელ დასავლეთ უზბეკეთს უწყლოდ დარჩენით ემუქრება. თუმცა, რეგიონის მომავალი ამიერიდან, ალბათ, უფრო დიდ სახელმწიფოთა (აშშ, ჩინეთი, რუსეთი) ურთიერთობებზე იქნება დამოკიდებული, ვიდრე ლოკალურ უთანხმოებებზე.

## ეკონომიკა

## ჩინელი ბიზნესმენები იმერეთით დაინტერესდნენ

ქუთაისში, შესაძლოა, ჩინური ელექტროსაქონლისა და ტანსაცმლის გამოშვება დაიწყონ. ამის შესახებ მოლაპარაკებებს ქუთაისის მერთან ჩინური კომპანია "ტინბანის" წარმომადგენლები ორშაბათს აწარმოებდნენ. ჩინელების სურვილია, რომ ქუთაისის ერთ-ერთი ქარხნის ბაზაზე ტელევიზორების, კომპიუტერების, ელეტროღუმელებისა და ტანსაცმლის წარმოება ააწყონ. პროდუქციის დასამზადებლად, შესაძლოა, მათ ადგილობრივი ქარხნების ("აისი" და "ავანგარდი") ბაზა გამოიყენონ; თუმცა, ჩინელების მიერ სხვა ვარიანტებიც განიხილება. ამავე დროს "ტინბანის" წარმომადგენელთა მთავარი მოთხოვნა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო შეღავათების დაწესებაა. როგორც გაირკვა, საქართველოში, ჩინეთთან შედარებით, ისედაც დაბალი გადასახდები ყოფილა. მაგალითად, ჩინეთში მოგების გადასახადი 33 პროცენტს შეადგენს, საქართველოში კი - 20-ს. ასევე დაბალია ქართველი მუშის საშუალო ხელფასიც. მიუხედავად ამისა, ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი ჩინელებს წარმოების გამართვის შემთხვევაში მაინც დაჰპირდა ადგილობრივ გადასახადებში შეღავათებს. ფირმა "ტინბანი" უკვე ათი წელია მოქმედებს და მსგავსი ჩანაფიქრი მათ ალჟირში აქვთ განხორციელებული. ისინი საქართველოში წარმოებულ ნაწარმს ამიერკავკასიასა და ევროპაში უპირებენ გასაღებას.

## ტელეფონით შემოჩრილ რეკლამასთან გამოცხადებული ბრძოლა

აშშ-ს ვაჭრობის ფედერალურმა (F) კომისიამ განაცხადა კერძო და კორპორატიული ტელეფონის ნომრების სიის შედგენის შესახებ. სიაში მოხვედრილი ტელეფონის ნომრები დაცული იქნება არასასურველი სატელეფონო რეკლამისაგან.

შეერთებულ შტატებში შემთხვევით ნომრებზე დარეკვა და სარეკლამო შეტყობინების დაუკითხავი გავრცელება საკმაოდ პოპულარული მარკეტინგული ფორმაა. წელიწადში 16 მლრდ-მდე მსგავსი ზარი ფიქსირდება. ამიტომ ვაჭრობის ფედერალური კომისია ყველა დაინტერესებულ პირს ამ პრობლემის თავიდან აცილების საშუალებას სთავაზობს. დაცულ ნომერთა ნუსხაში მოსახვედრად საჭიროა რეგისტრაცია, რომლისთვისაც არანაირი საფასურის გადახდა არ იქნება საჭირო. რეგისტრაციის წარმოება ინტერნეტით ან უფასო სატელეფონო ნომრებზე დარეკვის მეშვეობით იგეგმება. ტელემარკეტინგით დაკავებულ კომპანიებს ყოველ კვარტალში ერთხელ განახლებადი სიის შეძენა მოუწევთ. ამგვარი პროცედურა ამერიკის 27 შტატში მოქმედებს.

ფედერალური კანონის ამოქმედებას პირველ რიგში სენატის მხარდაჭერა დასჭირდება და ვარაუდობენ, რომ მის გასაპროტესტებლად ბევრი სარეკლამო აგენტი მიმართავს სასამართლოს.

# საჯარო სამსახურის ბიუროს „შავი სია"

### თანამდებობიდან გათავისუფლება სარფიანი გარიგება აღარ იქნება

*თებერვლის დასაწყისში დასრულდება საჯარო სამსახურიდან სამართალდარღვევისათვის გათავისუფლებულ თანამდებობის პირთა მონაცემთა ბანკის შექმნა. კონტროლის პალატის ამ ინიციატივას საფუძვლად დაედო ქვეყანაში ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიცია - კონტროლის პალატის წარდგინების საფუძველზე სახელმწიფო სამსახურის ერთი თანამდებობიდან გათავისუფლებული პირები უფრო მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან. ამ პრობლემისა და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო, კონტროლის პალატა, ანტიკორუფციული და საჯარო სამსახურის ბიუროები ერთობლივად მუშაობენ მონაცემთა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზების შესაქმნელად.*

სოფიკო ოხანაშვილი

მონაცემთა ბანკში განთავსებული იქნება ბოლო სამი წლის განმავლობაში თანამდებობიდან ნებისმიერი სამართალდარღვევებისთვის გათავისუფლებულ პირთა იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), თანამდებობა, სამართალდარღვევა, გათავისუფლების ზუსტი თარიღი და მითითებული იქნება, ესა თუ ის პირი ვისი წარდგინებით გათავისუფლდა თანამდებობიდან.

მონაცემთა ბაზით სარგებლობის უფლება ექნება ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს, საჯარო სამსახურისა და ანტიკორუფციულ ბიუროებს. ხოლო რაც შეეხება ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ მონაცემთა ბაზით სარგებლობის საკითხს, ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტის პალიკო კუბლაშვილის თქმით, მათთვის ეს ინფორმაცია, კანონის თანახმად, ღია იქნება მხოლოდ სამი წლის განმავლობაში ანუ იმ პერიოდში, როდესაც გათავისუფლებული პირი არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე. სამი წლის შემდეგ მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ანტიკორუფციული და საჯარო სამსახურის ბიუროებისათვის. თუმცა, ჩვეულებრივი მოქალაქეები ბაზაში არსებულ მასალას უბრალო ინფორმაციის სახით ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით მაინც გაეცნობიან.

პალიკო კუბლაშვილის თქმით, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო და ანტიკორუფციული ბიურო გამოდის ინიციატივით, რომ შესაბამისი წარდგინება გაკეთდეს იმ პირების მიმართაც, რომლებიც სამართალდარღვევისთვის ოთხი-ხუთი-ექვსი წლის წინ გაათავისუფლეს სამსახურებიდან. მაგრამ ამ წარდგინებას კანონის ძალა კი არა, უბრალოდ, რეკომენდაციის სახე ექნება.

კუბლაშვილის თქმით, მონაცემთა ბაზის შექმნა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შემდეგ დასრულდება. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა გულისხმობს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემას, რომლითაც მკაცრად დარეგულირდება ამ ინფორმაციის გაცვლის საკითხები და ყველა უწყებას დაევალება, სამართალდაღვევისათვის კონკრეტული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს, რომლის ფუნქციასაც მთელი ინფორმაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის გადაცემა წარმოადგენს. ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტის თქმით, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კანონში ცვლილებების განხორციელების შემდეგ, ყველა გათავისუფლების შემთხვევაში, ავტომატურად უნდა ხდებოდეს ინფორმაციული ბაზის შევსება. საჯარო სამსახურის ბიურო თანამდებობაზე დანიშვნის საკითხსაც მკაცრად გააკონტროლებს. კუბლაშვილის განცხადებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს. **"თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს საჯარო სამსახურის ბიუროს. თუ აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება არის ე.წ. "შავ სიაში", საჯარო სამსახურის ბიურო აცნობებს ამის შესახებ დამნიშვნელ პირს და ეს უკვე არის ამ პირის გათავისუფლების საფუძვლი",** - განაცხადა ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტმა.

მონაცემთა ბაზის შექმნაზე მუშაობა, პრეზიდენტის სექტემბრის განკარგულების თანახმად, ნოემბერში დაიწყო და ახლაც აქტიურად მიმდინარეობს კონტროლის პალატის, ანტიკორუფციული და საჯარო სამსახურის ბიუროების თანამშრომლობით. ამჟამად, კუბლაშვილის თქმით, უკვე ასეულობით პირის შესახებ ინფორმაციაა თავმოყრილი; თუმცა, ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტის განცხადებით, ამ ეტაპზე მათ ხელთ არსებული ინფორმაცია არასრულყოფილია. პალიკო კუბლაშვილმა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, რაც იმით ახსნა, რომ ეს პერსონალური ინფორმაციაა და კანონში ცვლილებების შეტანამდე ამის გახმოვანება ეკრძალებათ. ცალკეული უწყებებიდან მონაცემების შეგროვება და ინფორმაციული ბაზის შექმნაზე მუშაობა საბოლოოდ, კუბლაშვილის ვარაუდით, თებერვლის დასაწყისში დამთავრდება. ამავე პერიოდში იგეგმება საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტის პარლამენტში შეტანაც.

# შობა ბოშებთან ერთად

## სოკოლოვსკის გიტარა "სოფლის სახლში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

უკვე კარგა ხანია, რაც წავკისის გადასახვევთან "სოფლის სახლი" დგას: რესტორანი, ლუდის ბარი, საცურაო აუზი, ფინური აბანო და სხვა და სხვა, ყველაფერი, რაც დამსვენებელს გაუხარდება – პირადად მე გემრიელმა კერძებმაც გამახარა. დამსვენებლებისა და "სოფლის სახლის" სტუმრების გარდა, მისი არსებობით ადგილობრივი მცხოვრებლებიც კმაყოფილი არიან: სხვა თუ არაფერი, 70 ადამიანი დასაქმებულია, ექიმის პრობლემა მოიხსნა, გზა შეკეთდა, სამარშრუტო ტაქსები რეგულარულად დადის – ცოტაა, განა?

თავად შენობა, ისევე, როგორც მისი სახელი (არა "ლას-ვეგასი" ან "ელიტა"), არ ჰგავს იმ არქიტექტურულ მონსტრებს, რომლებიც ბოლო დროს თბილისსა და მის შემოგარენს "ამშვენებს" – მიდამოსაც უხდება, მყუდროცაა და ამავე დროს ძალიან კომფორტულიც. რაღაცით სკანდინავიური სახლები მომაგონა, შესაძლოა, გაბრჭყვიალებული ნაძვების გამო, ზუსტად ვერ გეტყვით, ისე, უდავოდ ლამაზია. უახლოეს მომავალში იქვე სასტუმროს გახსნასაც გეგმავენ, საკონფერენციო დარბაზით, ჩოგბურთის კორტებით. მოკლედ, "სოფლის სახლის" მესვეურებს დიდი გეგმები აქვთ.

ეს ყველაფერი, თავისთავად, შესანიშნავია, მაგრამ "სოფლის სახლში" ალბათ არ მოვხვდებოდი, რომ არა საშობაო-საახალწლო სადღესასწაულო პროგრამა: ამ დღეებში აქ განთქმული ბოშათა თეატრის, "რომენის" საღამოები იმართება.

საზეიმოდ გამოწყობილმა სტუმრებმა საღამოს რვა საათიდან დაიწყეს წინასწარ დაჯავშნული მაგიდების დაკავება, და სულ მალე მთელი დარბაზი სავსე იყო. პოლიტიკური მოღვაწეებისა და სხვა ნაცნობი სახეების გარდა ერთ-ორ მაგიდასთან "უბრალო მოკვდავებიც" ისხდნენ. "ძველი სახლის" მასპინძლებმა მომახსენეს, დღეს უფროსები შეიკრიბებიან, "რომენი" ჩვენი თაობის წარმომადგენლებში ნოსტალგიურ განცდებს იწვევსო, მაგრამ არც ახალგაზრდების ნაკლებობა იგრძნობოდა.


"რომენი" "24 საათისთვის"


შობა "სოფლის სახლში"

გოგიტა ბახაიძის ფოტოები

თეატრ "რომენს", ვფიქრობ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ამჟამად "სოფლის სახლს" რვა მსახიობი ეწვია, რომელთაც გამოსვლისთანავე თითქოს ცეცხლი მოუკიდეს დარბაზს: "სოკოლოვსკის გიტარას" რუსული რომანსები და უნგრული მოტივები ცვლიდა, მღეროდნენ, რომ "უსიყვარულოდ ცხოვრება ტანჯვაა მხოლოდ"... თუმცა განსაკუთრებული სიხარულით დარბაზი მაინც კარგად ნაცნობი საბჭოთა ფილმებიდან "ფსევდობოშურ" სიმღერებს შეხვდა. ჰიტი, რასაკვირველია, "სასტიკი რომანსი" იყო – როგორც ჩანს, "რომენის" ერთ-ერთი მსახიობი ცამდე მართალია: ყველანი საბჭოთა კავშირიდან ვართ.

ერთმა სიმღერამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. გამოაცხადეს, რომ ეს ძველისძველი ბოშური სიმღერაა, თურმე ჯერ კიდევ მსახიობების ბებიები მღეროდნენ, იმ დროს, როცა ხალიჩების კარვებში ცხოვრობდნენ და წინ ყოველთვის გრძელი გზა ჰქონდათ. სევდიანი სიმღერაა, ვიოლინო ტიროდა, მსახიობი ქალი ფრინველივით შლიდა ხელებს... Добрый молодец-ის გარდა ვერაფერი გავიგე, არადა, ძალიან დავინტერესდი. შესვენების დროს ბოშებმა მიამბეს, რომ მისი მღერა ქალსაც შეუძლია და მამაკაცსაც, და, საბედნიეროდ, თურმე არც ისე ნაღვლიანი ამბავია: კაცურ კაცს (добрый молодец ალბათ ასე უნდა ვთარგმნო?!), რომელსაც საყვარელი ცოლიც ჰყავდა და შვილებიც, ახლობლებთან ერთად დაულევია, загулял (ამას აშკარად ვერ ვთარგმნი). როგორც ქალებმა თქვეს, ბოშა კაცისთვის სიმთვრალე დიდი სირცხვილი ყოფილა, ამიტომ ჩვენი გმირი გარეთ, ყინვაში გადიოდა ხოლმე, რათა ვერავის დაენახა, რომ სასმელი მოეკიდა. ხოლო თუ ამ სიმღერას ქალი მღერის, თავისი მთვრალი კაცის დარდი ამღერებს, ესაა და ეს. ისე, ვინ არ დამთვრალა, ეგ რა სადარდელიაო.

მსახიობების კეთილგანწყობით წაქეზებულმა ვიკითხე, რატომ არ ცეკვავდა დარბაზი – ეს რა, ცუდ ტონად ითვლება? პირველი განყოფილების დროს მხოლოდ ერთმა ქალმა "გაბედა" წამოდგომა და, უნდა აღინიშნოს, რომ ბოშებზე არანაკლებ ცეკვავდა, მაგრამ ის ერთადერთი იყო. სიცილით დამაიმედეს, მეორე განყოფილებაში ნახავ, როგორი ცეკვა-თამაში გაჩაღდებაო.

"რომენის" მსახიობები უმშვენიერესი ქალები არიან: მოხდენილი, გრაციოზული, ცეცხლოვანი, ცეკვისას გრძელი, შავი თმა უფრიალებთ, ხელებს ისე შლიან, თითქოს მთელი სამყაროს გულში ჩაკვრა შეეძლოთ. ამიტომ გამიკვირდა, რომ მეორე გამოსვლის დროს, როცა, მათი დაპირების თანახმად, დარბაზი, როგორც იქნა, გამოცოცხლდა, სულ ორიოდე ქართველმა მამაკაცმა გამოთქვა დაუფარავი აღტაცება და იცეკვა. ძირითადად ისევ ქალები აქტიურობდნენ. ძლიერი სქესის წარმომადგენლები მხოლოდ მაშინ გახალისდნენ, როცა "რომენმა" ბედნიერება გვისურვა, დაგვტოვა და დარბაზში ჩვეული "обними меня, целуй меня" გაისმა...

ჩვენ კი სტუმრად ჩამოსულ ბოშებთან ერთად მხიარულ დღესასწაულებს გისურვებთ – რა კარგია, რომ ქართველებს ორ-ორი შობა და ახალწელიწადი გვაქვს! და თუკი გსურთ რატომღაც გულს შემოწოლილი ნაღველი გაიქარვოთ, "ჩვენს" ახალწლიწადამდე "სოფლის სახლს" ესტუმრეთ და ეზიარეთ შორი გზების, ხალიჩებზე ჩამოცვენილი ვარსკვლავების და თავისუფალი ადამიანების სიყვარულის რომანტიკას.

# რა შეიცვალა „მეფე ლომის" შემდეგ

## ბროდვეი დისნეის გადასარჩენად

*არ აქვს მნიშვნელობა, უყვართ თუ არა დონალდ დაკი, მიკი მაუსი თუ პლუტო, დისნეილენდი თავის წილ შთაბეჭდილებას მნახველზე ყოველთვის ახდენს. მიუხედავად ამისა, დგება ხოლმე მომენტი, როდესაც დისნეის თემატური პარკები პოპულარობას კარგავს, ანუ, როდესაც ყოველი ამერიკელი ბავშვის უპირველესი ოცნება დისნეილენდში მოხვედრა აღარაა.*



ალადინი

სწორედ ამ "მავნე სენის" აღმოფხვრას ემსახურება კომპანიის ახალი წამოწყება, დაიხმაროს ძველი, სასცენო ტრადიციები და ერთგული მნახველი "დისნეილენდის" თემატურ პარკებს ბროდვეის სპექტაკლებით დაუბრუნოს.

17 იანვარს უოლტ დისნეის სამფლობელოში გრანდიოზული პრემიერა იგეგმება – 1992 წელს გამოშვებული ანიმაციური ფილმი "ალადინი" მაყურებელს სპექტაკლის სახით დაუბრუნდება. და "დისნეილენდიც" ბიუჯეტის გაზრდას სუპერ-თანამედროვე ანიმაციური გმირებით კი არა, ბროდვეის სტილში გადაწყვეტილი სპექტაკლით შეეცდება (ციფრული მომავლის პერსპექტივიდან გამომდინარე შეიძლება ეს უცნაურადაც გეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად ასეა).

ბროდვეი, როგორც ხსნა, კომპანია "დისნეის" 1998 წელს მოევლინა, როდესაც სუპერ-წარმატებული "მეფე ლომის" სასცენო პრემიერა გაიმართა. ეს კომპანიაში ახალი დირექტორისა და დიზაინერის, ჯული ტეიმორის მისვლას დაემთხვა. სწორედ მისი ინიციატივით დაიდგა "მეფე ლომი" ბროდვეის სცენაზე და ამავე დროს სხვა სასცენო გეგმებიც დაისახა. მაგალითად, მალე ბროდვეის მაყურებელი ლონდონელი პროდიუსერის, კამერონ მაკინტოშისგან "მერი პოპინსის" თეატრალურ ვერსიას იხილავს, ასევე "პინოქიოს" და "ტარზანსაც". აღსანიშნავია, რომ "ტარზანისთვის" მუსიკა ფილ კოლინზმა დაწერა. ბროდვეიზე აპირებენ "ქალთევზას" დადგმასაც. ამ პროექტს მეტიუ ბორნი განახორციელებს – კაცი, რომელმაც მხოლოდ მამაკაცებით დაკომპლექტებული "გედების ტბა" შექმნა.

როგორც ხედავთ, "დისნეი" 2002 წელს საფონდო ბირჟაზე 10 პროცენტით დაცემული აქციების ფასის აწევისთვის არც თანხებს ზოგავს და ბროდვეის ტალანტებსაც ბლომად იზიდავს. ამიტომ ვარაუდობენ, რომ სცენაზე გადატანილი "ალადინი" აუცილებლად იქნება მშვენიერი, მაღალ დონეზე დადგმული სანახაობა, რომელიც ფინანსურადაც გაამართლებს და "დისნეის" თემატურ პარკებსაც ცნობისმოყვარე მაყურებლით გაავსებს.

"ალადინის" პრემიერა ანაჰაემში, "დისნეი ლენდის" ყველაზე ახალგაზრდა თემატურ პარკში გაიმართება. კომპანიის წარმომადგენლები მაყურებელს მაღალ დონეზე შესრულებულ ქორეოგრაფიულ ნომრებს, ფანტასტიკურ სასცენო დიზაინს და ნიუ იორკელი თუ სან ფრანცისკოელი მსახიობების ბრწყინვალე თამაშს ჰპირდებიან.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ სპექტაკლის რეჟისორი გახლავთ ფრანჩესკა ზამბელო – ქალი მსოფლიოს წამყვანი თეატრებიდან: ქოვენთ გარდენი, პარიზი, ლოს ანჯელესი, სანტა ფე. მეტიც, "ალადინის" პარალელურად, ის ნიუ იორკის მეტროპოლიტან ოპერისთვისაც მუშაობს, სადაც თებერვალში ბერლიოზის "ტროელებს" დადგამს. ზამბელოს ტიტულების გადახედვის შემდეგ, ბევრს უჩნდება კითხვა – კომერციული მიზნების წინა პლანზე დაყენებით ხომ არ ეცემა ელიტარული ხელოვნების დონე? ბოლოსდაბოლოს, ოდნავ უჩვეულოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე რეჟისორი მუშაობს მეტროპოლიტან ოპერისა და "დისნეის" თემატური პარკისთვის შექმნილ სპექტაკლზეც. თუმცა, თავად ზაზელო შეუთავსებლობას ვერაფერში ხედავს. ის აცხადებს: "ბოლო წლებია, ვცდილობ ოპერას ნაკლები დრო დავუთმო და უფრო პოპულიზმზე დაფუძნებულ პროექტებს მივხედო. რაც არ უნდა იყოს, ეს ფართო აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების საშუალებას იძლევა. ხუმრობა ხომ არაა – შოუს ნახვას ყოველკვირეულად 40 ათასი ადამიანი შეძლებს". ამ კომენტარის მოსმენის შემდეგ კი, შეიძლება უკვე თამამად განვაცხადოთ, რომ კომერციული წარმატების მისაღწევად მასკულტურასთან დათმობაზე წასვლის ტენდენცია უკვე სერიოზულ სახეს იღებს. "ალადანიც" (შესაძლოა, მაღალ დონეზე შესრულებულიც) სწორედ ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითი იქნება.

# სახელში რას არ გადაიხდი

ნინო ჭანიშვილი

ერთი შეხედვით ეს უაზრო სურათი რომში ჩატარებულ თანამედროვე ხელოვნების აუქციონზე 183.500 ევროდ გაიყიდა. სურათის ავტორი ლუჩიო ფონტანა (1899-1968) გახლავთ - იტალიელი ფერმწერი და მოქანდაკე, სპაციალიზმის გამომგონებელი. მალევიჩის ლეგენდარული შავ-შავი კვადრატების მერე ძნელი წარმოსადგენი იყო რომ ტილოს ვინმე ასე სასტიკად მოექცეოდა. მაგრამ ამგვარ სისასტიკეში მხატვრები დიდი მონდომებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს – მეოცე საუკუნის არაერთ მხატვარს სურდა, რომ მხატვრობის ისტორიის დასასრულის გზაზე მათი ნამუშევრები უკანასკნელი ყოფილიყო ანუ საფინალო. მაგრამ მსგავსი სურათები ახალ იმპულსებს იძლეოდა მორიგი დასასრულის შესაქმნელად. განსაკუთრებით გამომწვევად ამ გზაზე ფრანგი მხატვარი ნიკი დე სენ ფალი იქცეოდა. იგი პირდაპირ იარაღიდან ესროდა ტილოს და ასე კლავდა ათასწლეულებს გამოვლილ სახოვანებას. თავად ლუჩიო ფონტანა მსგავს სადიზმს ნაქანდაკევის მიმართაც სჩადიოდა. მაგრამ დღეს (იგულისხმება გასული საუკუნეც) მხატვრობას სხვა აღარაფერი რჩება გარდა იმისა, რომ საკუთარი თავი საკუთარივე ხელით გაინადგუროს. რადგან მხატვრები კარგად ხვდებიან (ყოველ შემთხვევაში დასავლელი), რომ ოდესღაც სამყაროს ამსახველი და დამტევი ფრესკა თუ ტილო, დღეს ტელევიზიის და სხვა მულტიმედიური საშუალებების გვერდით სრულიად უსუსური და უუფლებო აღმოჩნდნენ.

ყველაზე საინტერესო და სახალისო კი ის არის, რომ ლუჩიო ფონტანამ ამ ტილოს გადაჭრას არც მეტი არც ნაკლები ერთი წელი მოანდომა.

## კალენდარი

### 8 იანვარი



ჟურნალ "ბილბორდის" საუკეთესო ასეულში ელვის პრესლის ყველაზე მეტი - 149 სიმღერა მოხვდა.

ჰიტ-პარადში ელვისის სიმღერები ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლიდერობდა.

ზედიზედ 10 კვირის განმავლობაში ელვისის სიმღერები ჰიტ-პარადის სათავეში ერთმანეთს ენაცვლებოდა – ეს ნამდვილად განსაკუთრებული შემთხვევა იყო.

№1 ჰიტების რაოდენობით (18) ელვის პრესლი მხოლოდ "ბითლზს" თუ ჩამორჩება.

ელვისს 81 ოქროს ჩანაწერი აქვს, "ბითლზს" – 41, ბარბარა სტრაიზანდს კი – 42.

ელვის პრესლი მათ პლატინის ჩანაწერებითაც უსწრებს: ელვისს 43 პლატინის ჩანაწერი აქვს, "ბითლზს" – 36, ბარბარას – 26.

გასაკვირი არ არის, რომ ელვის პრესლის როკ-ენ-როლის მეფეს უწოდებენ.

ნებისმიერი მომღერალი, რომელიც 1956 წლის შემდეგ მიკროფონთან მივიდა, ნებით თუ უნებლიედ პრესლის გავლენის ქვეშ მოექცა. ელვის პრესლი პირველი მუსიკოსი იყო, რომელმაც მსმენელს სხვადასხვა მუსიკალური სტილის - გოსპელის, ბლუზის, როკ-ენ-როლისა და ქანთრის ნაზავი შესთავაზა. მანვე პირველმა შექმნა მუსიკოსის განსაკუთრებული იმიჯი – გამორჩეული ხმა და მიხვრა-მოხვრა, შეღებილი თმა, ორიგინალური სასცენო კოსტუმები, რომლებსაც თავ-თავისი სახელი ჰქონდა – ამერიკული არწივით დაწყებული აპაჩით დამთავრებული...

ვინ იფიქრებდა, თუ საოცრად მორიდებული ელვის პრესლი, რომელიც უკიდურესად ღარიბ ოჯახში დაიბადა, მსოფლიო სცენის ვარსკვლავად იქცეოდა. 13 წლისამ მემფისში მუშაობა დაიწყო, როცა დროს გამონახავდა, ადგილობრივ კლუბებში კონცერტებს ესწრებოდა. მუსიკით მისი გატაცება თავიდან მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ ეკლესიაში მღეროდა. ერთხელაც გადაწყვიტა, დედისთვის დაბადების დღეზე უჩვეულო საჩუქარი გაეკეთებინა: ეს მოხდა 1953 წელს. 18 წლის ბიჭი სტუდია Sun-ში მივიდა და 4 დოლარად ფირფიტაზე საკუთარი სიმღერა ჩაწერა. Sun-ის მფლობელმა და მენეჯერმა სემ ფილიპსმა მაშინვე მიაქცია ყურადღება მის უჩვეულო ხმას. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა. ერთი წლის შემდეგ, როცა ელვისი ისევ ესტუმრა სტუდიას კიდევ ერთი ოთხდოლარიანი ფირფიტის ჩასაწერად, სემმა კომერციულ საწყისებზე თანამშრომლობა შესთავაზა. პირველი ჩანაწერი საშინელი გამოვიდა, მაგრამ სემ ფილიპსი დარწმუნებული იყო, რომ ამ თანამშრომლობას შედეგი ნამდვილად ექნებოდა. ყოველთვის ვეძებდი თეთრკანიან მომღერალს შავკანიანის ხმითო – ამბობდა ხოლმე შემდეგ ფილიპსი, რომელიც ელვისის პირველი მენეჯერი გახდა.

განსაკუთრებული წარმატება ელვის პრესლის It's All Right Mama-მ მოუტანა. ეს სიმღერა მემფისის რადიომ აიტაცა, დიჯეიმ პრესლის კომპოზიცია რამდენჯერმე დაატრიალა, მაგრამ სტუდიაში სატელეფონო ზარები არ წყდებოდა, მსმენელი ისევ და ისევ ითხოვდა ამ სიმღერის გაშვებას. პრესლი რადიოგადაცემაში ინტერვიუზეც მიიწვიეს, ის ისე ნერვიულობდა, რომ ტუალეტშიც კი ჩაიკეტა. წლის ბოლოსთვის It's All Right Mama-ს 5 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და კიდევ მოდიოდა შეკვეთები. პრესლიმ Sun-თან დადო კონტრაქტი... ამას მოჰყვა ელვისის გამოჩენა ედ სალივანის ცნობილ შოუში. სხვათა შორის, შოუში ის ცნობილმა მსახიობმა ჩარლზ ლოუტონმა მიიწვია, მაშინ როცა ედ სალივანი საავადმყოფოში იწვა და ხუთი გადაცემა გააცდინა. ეს იყო 1956 წლის სექტემბერში. სწორედ ამ წლიდან დაიწყო ელვის პრესლის დიდი ტრიუმფი...

**ელვის პრესლი** 1935 წლის 8 იანვარს დაიბადა. დღეს მისი დაბადებიდან 68 წელი შესრულდა. პრესლის ფანები მთელი კვირა იზეიმებენ როკ-ენ-როლის ლეგენდარული მეფის დაბადების დღეს.

## ინფორმაცია

### სპილბერგის ვარსკვლავი

ამერიკელი რეჟისორი, სტივენ სპილბერგი, ვარსკვლავს მიიღებს: ოსკარის სამგზის ლაურეატის სახელი ჰოლივუდში, დიდების ბულვარზე ამოიტვიფრება. ასე რომ, 23 მარტს, ოსკარის გადაცემაზე, მსოფლიო კინოს ვარსკვლავები ზედ კოდაკის თეატრთან სპილბერგის ვარსკვლავსაც ნახავენ. იმასაც ამბობენ, წელს სპილბერგი კიდევ ერთ ოსკარს მიიღებს, ან Minority Report, ან Catch me if you can-თვისო.

"ძალიან გვიხარია, რომ ამ ღირსშესანიშნავ დღეს სპილბერგი ჩვენთან ერთად იქნება," განაცხადა ქალაქის მერმა ჯონი გრანტმა.

### არაბული ჰიტი 2002

სულ უბრალო საბავშვო სიმღერაა, "სადაა მამა?" ჰქვია, არადა, 2002 წლის საუკეთესო არაბულ სიმღერად აღიარეს. ყოველდღიურ "ეგვიპტის გაზეთში" ნათქვამია, რომ არაბულ პოპ-ვარსკვლავების სასიყვარულო სიმღერებზე ბევრად უკეთ მიამიტი, ბავშვების ნამღერი Baba Feen? იყიდება.

ეს ამბავი, გარკვეული წრეების აზრით, იმაზე მეტყველებს, არაბებს ბავშვები უყვართო. ეგვიპტელი ინტელექტუალები კი სიმღერის "ბანალური" ტექსტისა და მელოდიის პოპულარობის მიზეზად არაბული მუსიკალური კულტურის დაცემას ასახელებენ.

### ახალი ტატუ კურნიკოვას სხეულზე

რუსმა ჩოგბურთელმა, ანა კურნიკოვამ "ადიდასის" ფირმის მაღაზია გახსნა სიდნეიში. მაღაზიის გახსნის ოფიციალური ცერემონიის საყურებლად ჩოგბურთელმა 2 ათასამდე თაყვანისმცემელი ცნობილ და პრესტიჟულ სავაჭრო ცენტრთან "ქვინ ვიქტორიასთან" შეიკრიბნენ. 21 წლის სპორტსმენი სიამოვნებით პოზირებდა ფოტოგრაფების წინაშე, იძლეოდა ავტოგრაფებს და პასუხებს სცემდა ჟურნალისტებს. მაღაზიის გახსნის დღეს კურნიკოვა "ადიდასის" უახლეს საჩოგბურთო კოსტიუმში იყო გამოწყობილი, რომლის შექმნაშიც თავადაც იღებდა მონაწილეობას. ჟურნალისტები კი, კურნიკოვას სიდნეიში ჩასვლისთანავე ყველაზე მეტად ჩოგბურთელის ახალმა ტატუირებამ გაიტაცათ, რომელიც სპორტსმენს ზურგის ქვედა ნაწილში მოუჩანდა.

ძიუდო

# იაპონელები ხანჯალიაშვილს აკვირდებიან

*იაპონელ ძიუდოისტთან შეჭიდება ნებისმიერი მეტოქისთვის ერთი კარგი გაკვეთილია და ამაში დასაძრახი არაფერია. რამდენიმე დღეში იაპონიაში სტარტს აიღებს ძიუდოს ფუძემდებლის თუ პიონერის ძიგარო კანოს თასის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. შეჯიბრების მასპინძლებმა არც ჩვენები დაივიწყეს და თავისთან გვიხმეს*

გიგა გურასაშვილი

იაპონელები კარს მომდგარი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის რომ გამალებით ემზადებიან, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. მათ თადარიგი აქედანვე დაიჭირეს და ყველა შესაძლო კონკურენტზე "დოსიეების" შედგენით არიან დაკავებულნი. იაპონელთა სამიზნეში ბუნებრივია, ქართველი ძიუდოისტებიც მოხვდნენ და მთელი გუნდითაც მიგვიწვიეს, მაგრამ ვინაიდან ფედერაციაში იაპონიაში გასამგზავრებელი თანხები არ გამოინახა მიწვევაზე უარი შეუთვალეს, თუმცა...

ზურაბ ზვიადაური (90კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ) და მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილი, რომლებიც იაპონელთა გათვლით მათთვის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტებად მოიაზრებიან, შეჯიბრების მასპინძლებმა სამივე მათგანი საკუთარი ხარჯებით მიიწვია. ისე კი, ძიუდოს ფუძემდებლები არც აქამდე იყვნენ ხანჯალიაშვილის მიმართ გულგრილად.

ნოემბრის მიწურულს იაპონიის ძიუდოს ფედერაციამ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (სეოკ-ი) არაერთხელ მიმართა თხოვნით, რათა ამ უკანასკნელთ ეშუამდგომლათ მათსავე ქართველ კოლეგებთან, რათა ხანჯალიაშვილისთვის ტოკიოში ასპარეზობის უფლება მიეცათ. არადა, ქართველი გოლიათი ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი ტიტულებით ვერ დაიკვეხნის და პირველ ნაკრებშიც არ უჭიდავია, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდებში იგი ერთობ ძლიერ ძიუდოისტადაა მიჩნეული. იაპონელებმაც აწონ-დაწონეს და დაასკვნეს, რომ 2002 წლის ევროპის ჩემპიონის სახით საშიშ მეტოქეს გადაეყარნენ. რაც შეეხებათ ზვიადაურსა და ქევხიშვილს, მათზე დაკვირვების საშუალება იაპონელებს არაერთხელ მიეცათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 2002 წელი. გასული წელი ქევხიშვილისთვის და ზვიადაურისთვის ხომ ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. ფაქტობრივად მათ ყველგან ისახელეს თავი - ევროპისა და მსოფლიო თასზე, "გრანპრისა" და "მასტერსის" გათამაშებებში... ერთი სიტყვით, იაპონელები სამივე მათგანს თავისთან ელის. მათ მონდომებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართველები ამომავალი მზის ქვეყანაში ორდღიანი ასპარეზობების დასრულების შემდეგაც ერთობლივ ერთკვირიან შეკრებაზე დარჩებიან.

ძიგარო კანოს თასი, ტოკიოში "ნიკონ ბუდოკანის" დარბაზში გათამაშდება. რამდენიმე ქვეყნის უძლიერეს ძიუდოისტს მეტწილად იაპონელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. თუ რატომ, ამაზე ადრეული შედეგები მეტყველებს. მაგალითად, 2001 წელს ძიგარო კანოს თასის გათამაშებაში იაპონელებმა შვიდი წონით კატეგორიაში ერთად-ერთი ფინალი დათმეს, დანარჩენში კი გამარჯვებულებმა დატოვეს ტატამი. როგორი იქნება წლევანდელი ასპარეზობა, ამას მალე შევიტყობთ. თავად ტურნირი კი 11 იანვარს დაიწყება და 12-ში დასრულდება. ქართველი ძიუდოისტები იაპონიაში გუშინ დღის სამ საათზე გაემგზავრნენ და შინ 18 იანვარს დაბრუნდებიან.

კრივი

# ტაისონი კლიჩკოს კი არა, ეტიენს შეხვდება

მაიკ ტაისონი 22 თებერვალს მემფისის "Pyramid Arena"-ზე ვლადიმირ კლიჩკოს ნაცვლად კლიფორდ ეტიენს შეხვდება. შეგახსენებთ, რომ მემფისი ტაისონს ცუდად აქვს დაცდილი. აქ "რკინის მაიკი" მეორე შავკანიანმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა გალახა. ამ მატჩის ტრანსლაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოხდება - ნათქვამია ძმები კლიჩკოების ოფიციალურ საიტზე.

კრივის საღამოზე ტაისონ-ეტიენის გარდა რინგზე გამოვლენ საშუალო წონის 25 წლის დაუმარცხებელი ცაცია - ჯეფრი ლეისი, 35 წლის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სუპერ მძიმეწონოსანი მაიკლ მიურერი, რომელიც დევიდ ტუასთან შთამბეჭდავი დამარცხების შემდეგ დაუბრუნდება რინგს და 31 წლის, ასევე სუპერ მძიმეწონოსანი კეიტ მაკგირტი.

სკანდალურმა მაიკ ტაისონმა ვლადიმირ კლიჩკოსთან შებრძოლება მაშინ გადაწყვიტა, როცა უკრაინელმა მსოფლიო კრივის ასოციაციის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში დაამარცხა ჯამილ მაკლეინი. "რკინის მაიკმა" ვლადიმირ კლიჩკო საჩხუბრად იმავე საღამოს გამოიწვია. ორი კვირის შემდეგ კლიჩკოების პრომოუტერი კლაუს-პეტერ კოლი ერთ-ერთი კლიჩკოს ტაისონთან შეხვედრით დაინტერესდა. 29 დეკემბერს კი კოლმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვიტალი კლიჩკო 2003 წლის აპრილში ლენოქს ლუისს დაამარცხებს, არ არის გამორიცხული, მისი მომდევნო მეტოქე მაიკ ტაისონი გახდეს. ბოლოს კი ირკვევა, რომ "რკინის მაიკი" არცერთ კლიჩკოს არ შეხვდება.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ალჟირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბელგიელი ჯერჯ ლეეკენსი დანიშნა. კონტრაქტი ორწლიანია. ლეეკენსის დებიუტი 25 იანვარს შედგება, როცა ალჟირელები უგანდის გუნდს შეხვდებიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ, ჯუზეპე სინიორიმ განაცხადა, რომ "ბოლონია" იტალიის უკანასკნელი კლუბი იქნება, რომელშიც ის ითამაშებს. "ბოლონიას" შემდეგ სინიორი უცხოეთში აპირებს საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას. კერძოდ, ფორვარდს არაბეთის გაერთიანებული საემიროები ამოუღია მიზანში. თებერვალში სინიორის 35 წელი უსრულდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ მისი კლუბი არ აპირებს მადრიდის "რეალს" ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი წაჰგვაროს. "ჩვენ ამ ვარიანტს განვიხილავდით, მაგრამ ამჟამად ფერნანდოს შეძენით არ ვართ დაინტერესებული", - თქვა კაპელომ. სავარაუდოდ, მორიენტესს არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა უნდა შეეცვალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ "ბატიგოლი" ამ სეზონის ჩამთავრებას რომაულ კლუბში აპირებს. ასე, რომ "რომას" შეტევითი ხაზი უცვლელი დარჩება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბლექბერნ როვერსი" საფრანგეთის კლუბ "მონაკოსთან" მოლაპარაკებას აწარმოებს ბელგიელი მცველის ფილიპ ლეონარის შეძენასთან დაკავშირებით. ამის შესახებ განაცხადა ინგლისელთა მწვრთნელმა გრემ სონესმა. "ბლექბერნი" კარგ მცველს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა და როგორც ჩანს მიაგნო. გუშინწინ და გუშინ მხარეებმა კონტრაქტის პირობები განიხილეს და ფეხბურთელს მოსაფიქრებლად დრო მისცეს. ლეონარი უკვე მეექვსე წელია, რაც "მონაკოს" ღირსებას იცავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "ევერტონის" ხელმძღვანელობამ უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ კლუბის ამომავალი ვარსკვლავი უეინ რუნი მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში გადადის. "რუნიმ "ევერტონთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და "რეალში" არავითარ გადასვლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს", - განაცხადა კლუბის პრესცენტრის შეფმა იან როსმა. მას მხარი თავად რუნიმაც აუბა. "რეალში" თამაში რა თქმა უნდა, დიდი პატივია, მაგრამ ის მე არ მხიბლავს. "ევერტონზე" ბავშვობიდან ვოცნებობდი და ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ დიდი კლუბი აღორძინდეს. მთელი ჩემი ფიქრი "ევერტონს" უკავშირდება და სხვა კლუბებს შეუძლიათ არ შეწუხდნენ", - განაცხადა 17 წლის ფორვარდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანული ჟურნალ "კიკერის" ვერსიით, ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 17 შეხვედრაში აილტონმა 13 გოლი გაიტანა და გამოკითხულთა 23 პროცენტი დააგროვა. 18 პროცენტით მეორე ადგილზე მიხაელ ბალაკი გავიდა, ხოლო მესამე დორტმუნდის "ბორუსიას" ჩეხი ლეგიონერი ტომაშ როსიცკი იყო - 10 პროცენტი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის გამოკითხვის შედეგად 2002 წლის საუკეთესო საფეხბურთო ლიგად ესპანური პრიმერა-დივიზიონი დაასახელეს. მეორე ადგილზე ინგლისური პრემიერ-ლიგაა, ხოლო მესამეზე-იტალიური სერია A. ბრაზილიის ჩემპიონატი ამ გამოკითხვაში მხოლოდ მე-9 ადგილზეა. სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან კი საუკეთესო შედეგი არგენტინას აქვს - მე-5 ადგილი.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ორშაბათს ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში 24-ედ დაასახელეს კვირის საუკეთესო მოთამაშედ. გასული 7 დღის განმავლობაში "ვაშინგტონ უიზარდსმა" 4-დან სამი მატჩი მოიგო. ჯორდანი კი საშუალოდ მატჩში 22,3 ქულას, 8 მოხსნას და 2,25 ჩაჭრას ახორციელებდა.

დასავლეთში საუკეთესოდ "დალასის" ლიდერი დირკ ნოვიცკი აღიარეს. ბოლო სამ შეხვედრაში მისმა მაჩვენებელმა - 29,7 ქულა, 10,7 მოხსნა, 3,3 გადაცემა და 2,33 დაფარება შეადგინა.

ფეხბურთი

# „ჩემს გადაწყვეტილებას იესოც ვერ შეცვლის„

## ჯოვანი ელბერი "ბაიერნიდან" აუცილებლად წავა

*მიუნხენის "ბაიერნის" მწვავე კრიტიკამ კლუბის თავდამსხმელი, ჯოვანი ელბერი საბოლოოდ გამოიყვანა წყობიდან. ბრაზილიელის კონტრაქტი "ბაიერნთან" 2004 წლის 30 ივნისს მთავრდება, ამ დროისათვის ელბერი აუცილებლად დატოვებს კლუბს – თუმცა თავაწეული.*

აკა ტონია

"ყველას მინდა დავუმტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში კარგად ვიცი", - განაცხადა თავდამსხმელმა ახალი წლის დღეებში, რითაც ოტმარ ჰიტცფელდს და ული ჰიონესს "ომი" გამოუცხადა. "ბაიერნის" მწვრთნელი და მენეჯერი მიმდინარე სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ ბრაზილიელს ხშირად აკრიტიკებდნენ არადამაკმაყოფილებელი შედეგიანობისათვის. ერთიც და მეორეც ხშირად იმეორებენ, რომ კლუბი მიროსლავ კლოზეს შეძენას აპირებს, რომელიც "ელბერის ღირსეული შემცვლელი იქნება". ელბერი ხელმძღვანელების გამონათქვამების შინაარსს კარგად მიხვდა და რეაგირებაც მოახდინა.


ჯოვანი ელბერი

REUTERS

გასულ წლებში ის დრო და დრო იმუქრებოდა, რომ "ბაიერნის" მიტოვებას აპირებდა, ახლა კი მისი წასვლა გადაწყვეტილი ამბავია.

"2004 წელს "ბაიერნთან" ურთიერთობას გავწყვეტ, ამას ვერც ბეკენბაუერი და ვერც თავად იესო ქრისტე ვერ შეცვლიან", - განაცხადა ელბერმა რამდენიმე დღის წინათ, როდესაც შვებულებიდან ჩამოვიდა და "ბაიერნს" შეუერთდა. ელბერს მართლაც სურს თავისი მუქარა შეასრულოს და "კარი გაიჯახუნოს": შარშანდელი წლისაგან განსხვავებით შვებულებიდან ის ზედმიწევნით პუნქტუალურად დაბრუნდა. საკურორტო ქალაქ მარბელაში, სადაც ამჟამად "ბაიერნი" შეკრებაზე იმყოფება, ბრაზილიელი თანაგუნდელებზე ბევრად მეტს ვარჯიშობს – ის, რომ ელბერი გაბრაზებულია, ყველა ამჩნევს.

მწვრთნელი ჰიცფელდი კმაყოფილია: "ჯოვანიმ მართლაც "მისცა გაზი", მაგრამ ეს არ არის საკმარისი", - ამბობს ჰიცფელდი, რომელიც ვერა და ვერ ივიწყებს, რომ ელბერს თავისი გოლი 26 ოქტომბრის შემდეგ არ გაუტანია. გასული წლის ბოლოს მწვრთნელმა განაცხადა, რომ გაისიდან მას "მშიერი ელბერის" ნახვა სურდა, თუ ეს ასე არ იქნება, ბრაზილიელს "ბაიერნის" 2004 წლამდე დაემშვიდობება.

21 წლის პარაგვაელი, როკი სანტა კრუზი ელბერისთვის უკვე სერიოზულ კონკურენტად ჩამოყალიბდა, ამასთან "ბაიერნი" მიროსლავ კლოზეს შეძენას გეგმავს, ყველაფერი ეს ბრაზილიელს საქმეს ურთულებს.

თუ ელბერი ზეწოლას ვერ გაუძლებს, სჯობს "ბაიერნთან" კონტრაქტის ამოწურვამდე დაიწყოს ახალი კლუბის ძებნა, როგორც თავად ამბობს ყველაზე მეტად მას ესპანეთში ან პორტუგალიაში სურს თამაში.

# ტრეზეგეს და „ბარსელონას„ 60 მილიონი აშორებს

*ბოლო პერიოდში ევროპის ყველა სპორტული გამოცემა აქტიურად იხილავს სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, ფრანგი დავიდ ტრეზეგეს "ბარსელონაში" გადასვლა-არგადასვლის საკითხს. კატალონიურმა კლუბმა უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, თუმცა, "იუვენტუსის" წარმომადგენლები საკითხის კომენტირებისგან თავს იკავებენ.*

მიხეილ აბაიშვილი

იტალიური "გაძეტა დელო სპორტი", ფრანგული "ეკიპი", ესპანური "ელ მუნდო დეპორტივო", ევროპის ყველა მთავარი სპორტული გაზეთი დღეს იმას წერს, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი, დავიდ ტრეზეგე უახლოეს მომავალში, შესაძლოა, "ბარსელონაში" გადავიდეს. კატალონიური გრანდის დირექტორმა, ხავიერ პერეს-ფერგუელმა უკვე აღიარა, რომ ამ თემაზე კლუბებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები ფაქტია, და არა პრესის ფანტაზიის ნაყოფი. თავად ტრეზეგემ, რომელსაც "იუვენტუსთან" 2005 წლამდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი, განაცხადა, რომ პირადად მას არავინ


დავიდ ტრეზეგე

REUTERS

დაკავშირებია და ყველაფერი გაზეთებიდან შეიტყო, მათ შორის ისიც, რომ იგი შეიძლება კლუივერტში გაცვალონ. "არაფერი ვიცი. მე ტურინში ვარ და აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს", - განაცხადა გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატში 24 გოლის გამტანმა, ამჟამად კი ტრავმირებულმა ფრანგმა ფეხბურთელმა. თუმცა, "ეკიპი" მიიჩნევს, რომ ტრეზეგე ტურინში თავს მაინცა და მაინც კომფორტულად აღარ გრძნობს და ამის დასადასტურებლად ფეხბურთელის პირადი აგენტის, რიჩარდ ბეტონის სიტყვები მოჰყავს: "სინამდვილეში დევიდი სულაც არ არის კმაყოფილი "იუვეში" თავის მდგომარეობით. მას შემდეგ, რაც მან ტრავმა მიიღო, "ზებერ ქალბატონს" თავდასხმაში კარგი ტანდემი გაუჩნდა დელ პიერო – დი ვაიოს სახით. ამიტომაც სურს ტრეზეგეს გარემოს შეცვლა."

შეუძლებელია, რომ ევროპის სამი უმსხვილესი საფეხბურთო გამოცემა ხმებს აგორებდეს. ასახელებენ იმ თანხასაც, რომელსაც "იუვენტუსი" ფრანგ ფეხბურთელში ითხოვს – 60 მილიონი ევრო. თანხა, რომელიც ბოლო ხანს სატრანსფერო ბაზარზე ჩამცხრალი სიგიჟეების შემდეგ, წარმოუდგენლადაც ჩანს. ამიტომაც, "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, "ბარსელონამ" ტრეზეგეში შეიძლება 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, დარჩენილ 30 მილიონის სანაცვლოდ კი "იუვენტუსში" კლუივერტი გაუშვას. ასეთ ვერსიას არც "ეკიპი" უარყოფს, თუმცა, კლუივერტის ნაცვლად არგენტინელ ნახევარმცველ პიკელმეს ასახელებს. სამივე გამოცემა ერთხმად ამტკიცებს, რომ "ბარსას" მთავარმა მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა პრეზიდენტ ხუან გასპარს ახალი თავდამსხმელის შეძენა მოსთხოვა. თუმცა, თავიდან ვან გაალს ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის შეძენა სურდა, საბოლოოდ კი თავის ყურადღება დავიდ ტრეზეგეზე შეაჩერა.

ამასთან, კატალონურ პრესაში თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ბარსელონას" აქციების მფლობელთა საინიციატივო ჯგუფმა აქციონერებს შორის ხუან გასპარის გადაყენების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. 3 იანვარს წესდებით გათვალისწინებული 4505 ხელმოწერა უკვე შეგროვილი იყო და, შესაბამისად, ეს ჯგუფი გასპარის გადარჩევას აქციონერთა საგანგებო კრებაზე შეეცდება. საინიციატივო ჯგუფის აზრით, პრეზიდენტობის სამი წლის განმავლობაში ხუან გასპარმა ვერ მოახერხა გუნდისთვის ძველი დიდების და ფინანსური წარმატებების დაბრუნება. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია "ბარსას" დაუძინებელი მტრის, "რეალის" პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის საქმეების ფონზე, რომელიც ესპანეთში "წლის ადამიანადაც" კი აღიარეს.

კურიოზი

# დალიეთ ლუდი, არ არის ცუდი

კახა ფაჩუაშვილი

ინგლისში არსებობს ტრადიცია - ყოველი მატჩის შემდეგ სპორტსმენები ლუდს მიირთმევენ. ეს ტრადიცია უფრო ფეხბურთელებსა და მორაგბეებს ეხება. ალბიონზე იმასაც ამბობენ, რომ მორაგბე, რომელიც ლუდს გულგრილად უყურებს, მორაგბე არ არის. ინგლისელებიც ცდილობენ, ნამდვილი მორაგბეები იყვნენ და სასიამოვნო ტრადიციას დიდი რუდუნებით უფრთხილდებიან.

ლუდის სმის რიტუალი პრემიერ-ლიგისთვისაც ნაცნობი და, შეიძლება ითქვას, საყვარელი პროცედურაა. ლუდის სმით მთავრდება სარაგბო, თუ პრემიერ-ლიგის ყველა შეხვედრა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის მორაგბეებისთვის სავალდებულოა, პრემიერ-ლიგაში სხვადასხვა რჯულის ლეგიონერთა მოზღვავების გამო კი - ნებაყოფლობითი.

"მანჩესტერ სიტის" მატჩების შემდეგ გასახდელში ლუდი ყუთებით შემოჰქონდათ. ყველას უკვირდა, რომ არ ვეტანებოდი. რა ვქნა, ვერ შევეგუე ამ ლუდს", - არაერთხელ უთქვამს გიორგი ქინქლაძეს. ამიტომ ინგლისელები გაგებით მოეკიდნენ სხვა ქვეყნის ლეგიონერთა უნარჩვევებს და ფეხბურთელთათვის ტრადიციის ერთგვარი ლიბერალიზაცია მოახდინეს.

ინგლისელები კი... ინგლისელები სხვა საქმეა. სტაჟიან გულშემატკივარს, ალბათ, ახსოვს გასული საუკუნის 80-იანი წლების ინგლისის ნაკრების კაპიტანი ბრაიან რობსონი. რობსონს ერთი მეტად საყურადღებო ჩვევა ჰქონდა. მან ლუდის სმის განრიგი შეიმუშავა და მისთვის არასოდეს უღალატია. თამაშის შემდეგ - 10 კათხა ლუდი, მეორე დღეს - 5, მესამე დღეს - 2, მეოთხე - მატჩის წინა დღეს შესვენება. მატჩის შემდეგ ისევ - 10 კათხა და ასე შემდეგ.

ბრაიან რობსონი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში დღესაც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ფეხბურთი და რაგბი კი სპორტის გამორჩეული სახეობები. ბუნებრივია, რომ ტრადიცია ფანების გარეშე ვერ იქნებოდა სრულფასოვანი, ამიტომ ინგლისში "ლუდის შოუს" ბევრი მიმდევარი ჰყავს.


ლუდი - ინგლისელი ფანების განუყრელი სასმელი

REUTERS

ამერიკაში რაიმე განსაკუთრებულ ტრადიციას ვერ წააწყდებით, მაგრამ თვითონ სმის პროცესს ადგილობრივი ექსპერტები მეტად მტკივნეულ პრობლემად მიიჩნევენ და ქვეყნისთვის საგანგაშოდ აღიქვამენ. ცნობილია, რომ ამერიკელებს ახასიათებთ ყველა საყურადღებო მოვლენის მეცნიერულ ჭრილში აყვანა და ამ პრობლემითაც დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ გულშემატკივარი სასმელს უფრო ხშირად ეტანება, ვიდრე ისინი, ვისაც სპორტისადმი გულგრილი დამოკიდებულება ახასიათებთ. ამ დასკვნამდე მივიდნენ ჯანდაცვის სფეროში ჰარვარდის კოლეჯის მკვლევარები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის 39 შტატის, 119 კოლეჯის 14 ათასზე მეტმა სტუდენტმა.

გამოკითხვის შედეგებმა ცხადჰყო, რომ სპორტის გულშემატკივართა 53 პროცენტი ალკოჰოლს რეგულარულად იღებს, მაშინ როცა დანარჩენ მოსახლეობას შორის ეს მაჩვენებელი, მამაკაცებში - 41, ხოლო ქალებში - 37 პროცენტს არ აღემატება.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ალკოჰოლთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გამო სპორტის გულშემატკივრები სხვებზე ხშირად ეჯახებიან სექსუალური ძალადობის ფაქტებს. პრობლემებს განიცდიან კანონთან და სწავლასთან დაკავშირებითაც კი. ამასთან, მკვლევართა მტკიცებით, ახალგაზრდების ალკოჰოლური სასმელებისადმი მისწრაფებას ხელს უწყობს, რეკლამა, რომელიც სპორტის ფანებს მოუწოდებს ლუდით აღნიშნონ, საყვარელი გუნდის როგორც გამარჯვება, ისე მარცხი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან აკინძილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# TV პროგრამა 8 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 პაწაწინა ონავრები
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 ალფი
11.10 მულტფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
13.30 მხ. ფილმი „მეფე და მე“
15.20 მხ. ფილმი „იღბლიანი ჯენტლმენები“
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 პაწაწინა ონავრები
18.50 ჰერაკლე
19.20 მედისონის სკოლა
19.50 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 „ბელურების გადაფრენა“
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“ მთ.როლებში ალბერტ ფინეი, ინგრიდ ბერგმანი
02.30 კლასიკა

## პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00 მოამბე
08.10 მულტფილმი „თოვლის პაპა“
08.35 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“
09.55 „მაკნატუნა“
11.25 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი“
12.15 მღერის ანსამბლი „ბიჭისი“
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.35 „ზღვარი“
15.15 მხ. ფილმი „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი“
16.50 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი“
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 ისტორიანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.55 მუს. პაუზა
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.00 ოქროს ფონდიდან - თენგიზ ჩანტლაძე
22.40 ბენი ჰილი
23.10 კონცერტი
00.05 მხ. ფილმი „სწორედ ის მიუნჰაუზენი“

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
10.30 გან. არასარეკლამო ათეული
11.00 გან. მუსათეული
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია „შოუ იწყება“
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 გან. ინგლისური მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი ასოციაციობანა
22.45 ინფაქტი
23.00 ინფორმატორი
23.15 რეტრო მუსიკა
00.15 ფილმი ბრავო „უძილობა“
01.45 ფილმი ღამურა „რეპლიკანტი“
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 მხ. ფილმი „გაჭედილები“

## იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი „შობაზე დავბრუნდები“
17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
10.20 მხ. ფილმი „სასიყვარულო წერილი“
12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (გამეორებით)
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „ფრენკ მაკკლასი - სადაზღვევო დეტექტივი“
22.15 მხ.ფ. „ნიუ-იორკის ისტორიები“
00.30 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 2“
13.30 მხ. ფილმი „სულელები“
15.00 მხ. ფილმი „მუმია 2“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „სასიყვარულო ისტორია“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 3“
22.30 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი“

## მეცხრე არხი

09.00, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.05, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 23.50, 00.00, 01.50 მუსიკა
09.20 მულტფილმი „ირემი რუდოლფი“ 1-ლი სერია
10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“
12.40 მხ. ფილმი „დუეტები“
14.45 ქართ. მხ. ფილმი „ანგელოზის გადაფრენა“
16.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 42-ე სერია
18.35 მულტფილმი „მეფის ასული შაჰრაზადი“ 42-ე სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 88-ე სერია
20.00 ფრანგი მხატვრები - ანრი მატისი
21.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-8 სერია
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „გორე - მონების კუნძული. სენეგალი“
22.10 მხ.ფ. „სრული 9 იარდი“
00.20 მხ.ფ. „სექსის შემდეგ“

## VII არხი

09.15 მელოდია
09.20 „აჩიკუდა“
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 „პაემანი“ - კახი კალაძე (გამეორებით)
11.25 კომპიუტერული ტექნიკა
12.05 მხ.ფ. - „შეშლილი პროფესორი“
13.35 მობილურები
14.20 დისნეი და მისი მეგობრები
14.45 „ბიორითმი“
15.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
15.35 ჰოროსკოპი
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.45 მობილურები
20.20 „ლა-ლა-ლა“
21.30 „სახლიდან გაუსვლელად“ - კომპიუტერული ტექნიკა
22.10 „კინოკლუბი „ - „უნებლიე ჯაშუშები“
23.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.15 „ბიორითმი“

## ОРТ

07.00 Телеканал „Доброе утро“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Жди меня (с сурдопереводом)
11.05 Худ.фильм „Приключения Электроника“. 1 с.
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе“
13.15 Худ.фильм „Сирота казанская“
14.45 „Ералаш“
15.00 Телеканал „Новый день“. „Гении и злодеи“
15.30 Телеканал „Новый день“. „Крылья“
16.15 Худ.фильм „Повелитель бурь“
18.00 „Большая стирка“
19.25 „Шутка за шуткой“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Русская рулетка“
22.00 Время
22.35 Худ.фильм „Роман с камнем“
00.35 Ночное „Время“
00.50 Телеканал „Новый день“. Искатели. „Ноев ковчег“
01.20 Телеканал „Новый день“. „Русский экстрим“
01.50 „Апология“
02.55 Худ.фильм „Судья в ловушке“. 1 с.

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Худ.фильм „Танцуй со мной“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Мультсериал „Джеки Чан“
13.00 Худ.фильм „И снова Анискин“
14.30 Док.фильм „Святая обитель“
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.15 Сериал „Д'Артаньян и три мушкетера“
18.20 Дорожный патруль
18.30 Экспертиза
18.45 Вести. Дежурная часть
19.20, 21.35 Местное время. Вести-Москва
19.50 „Бенефис „Городка“
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Бомж“
22.50 Сериал „Дневник убийцы“
23.40 Вести. Дежурная часть
00.00 Худ.фильм „Дублер“
01.40 Дорожный патруль
01.50 Горячая десятка

## НТВ

09.35 Утро на НТВ
10.00 Сериал „Улицы разбитых фонарей“
11.00 Сегодня утром
11.30 „Растительная жизнь“
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок“. „Рождественский стол“
13.05 Худ.фильм „34-й скорый“
14.30 Документальная драма „Преступление и наказание“
15.05 „Женский взгляд“. Александр Абдулов
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 Ток-шоу „Принцип домино“
18.05 Комедия „Мания величия“
20.30 Сериал „Гангстерские войны“. „Возвращение Терминатора“
21.25 Сериал „Улицы разбитых фонарей“
22.35 „Профессия - репортер“. „На краю земли“
23.00 Сегодня вечером
23.35 Комедия „Смерть ей к лицу“

# სკანდინავიური კროსვორდი







## საგაზეთო ქაღალდი ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმობრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

**British Freight Forwarding Company** announces a full time vacancy for the position of **Operations Manager.**

**Requirements:**

- Age: 25-30
- At least 3 years experience in freight forwarding operations, especially in Port and Rail, for project shipments, equipment and techniques.
- Good knowledge of English and Computer literacy is an obligatory.

Submit your CV-s to nino.nikolaishvili@murphy.com.ge before the 10th of January.

ბრიტანული საექსპედიტორო კომპანია აცხადებს ვაკანსიას ოპერაციების მენეჯერის თანამდებობაზე.

მოთხოვნები:

- ასაკი 25-30
- საპროექტო გადაზიდვებისათვის საექსპედიტორო ოპერაციების (პორტი, რკინიგზა) წარმოების მინიმუმ 3 წლის გამოცდილება
- ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა

გთხოვთ თქვენი მონაცემები (CV) გადააგზავნოთ შემდეგ მისამართზე: nino.nikolaishvili@murphy.com.ge ამა წლის 10 იანვრამდე.

## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში